

ფემიციდის  
მონიტორინგის ანგარიში  
2019

საქართველოს  
სახალხო დამცველი | 2020



# ფემიციდის მონიტორინგის ანგარიში 2019

საქართველოს  
სახალხო დამცველი | 2020

**მეთოდოლოგიის ავტორი:** თამარ დეკანოსიძე

**სისხლის სამართლის საქმეების და სტატისტიკის ანალიზზე მუშაობდნენ ექსპერტები:**  
გიორგი გოცირიძე და ნინო იაკობიძე

გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women) არის გაერთიანებული ერების სააგენტო, რომელიც გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისა და ქალთა შესაძლებლობების გაზრდის საკითხებზე მუშაობს. ორგანიზაციის დაარსების მიზანია მთელი მსოფლიოს მასშტაბით ქალთა და გოგონათა ინტერესების დაცვა და მათი პრიორიტეტების დაკმაყოფილება. გაეროს ქალთა ორგანიზაცია მხარს უჭერს გაერთიანებული ერების წევრ სახელმწიფოებს გენდერული თანასწორობის მიღწევის საყოველთაო სტანდარტების შემუშავებაში; თანამშრომლობს მთავრობებსა და სამოქალაქო საზოგადოებასთან ამ სტანდარტების შესაბამისი კანონმდებლობის, პოლიტიკის, პროგრამებისა და მომსახურების შექმნის პროცესში. გაეროს ქალთა ორგანიზაცია ხელს უწყობს ცხოვრების ყველა სფეროში ქალთა თანაბარ მონაწილეობას და განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს ხუთ ძირითად მიმართულებაზე: ქალთა ლიდერობისა და მონაწილეობის გაზრდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში; ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრა; სამშვიდობო და უსაფრთხოების პროცესების ყველა ასპექტში ქალთა მონაწილეობის უზრუნველყოფა; ქალთა ეკონომიკური გაძლიერება და გენდერული თანასწორობის პრინციპების, როგორც მნიშვნელოვანი პრიორიტეტის, ინტეგრირება ქვეყნის განვითარების დაგეგმვისა და ბიუჯეტის განსაზღვრის პროცესებში. ამასთან, გაეროს ქალთა ორგანიზაცია გაეროს სისტემაში კოორდინაციას უწევს და წახალისებს გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებულ საქმიანობას. წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და, შესაძლოა, არ გამოხატავდეს გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women), გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (United Nations) ან რომელიმე მისი წევრი ორგანიზაციის მოსაზრებებს. გამოცემა მომზადდა გაეროს ერთობლივი პროგრამის, „გენდერული თანასწორობისთვის საქართველოში“, ფარგლებში, შვედეთის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით.

© გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women)

# შინაარსი

შესავალი	4
1. კვლევის მეთოდოლოგია	6
2. ფემიციდის და ფემიციდის მცდელობის სტატისტიკა	8
3. ფემიციდის გამოვლენილი კატეგორიები და ტიპები	12
4. გამოძიების ეტაპზე არსებული ხარვეზები	13
4.1. სტერეოტიპული დამოკიდებულება	13
4.2. ხარვეზები მტკიცებულებების შეგროვებისას	14
4.3. დაზარალებულად ცნობა	15
4.4. გენდერული ნიშნით ქმედების კვალიფიკაცია	16
4.5. ძალადობის წინარე ისტორიის გამოკვლევა	18
5. სასამართლო ეტაპზე გამოვლენილი ხარვეზები	19
5.1. ქმედების კვალიფიკაცია გენდერის ნიშნით და დანაშაულის ჩადენა ოჯახის წევრის მიმართ	19
5.2. აღკვეთის ღონისძიების გამოყენება	23
5.3. სასჯელის დანიშვნისას სასამართლოს მიერ მხედველობაში მიღებული გარემოებები	24
6. სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ განჩინებების ანალიზი	25
დასკვნა	26
რეკომენდაციები	27
დანართი 1: საქართველოს გენერალური პროკურატურის სტატისტიკა	29

# შესავალი

საქართველოში ქალთა უფლებების დაცვა და გენდერული თანასწორობის მიღწევა კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე კანონმდებლობის დახვეწის, ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერის სერვისების გაძლიერებისა და მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებისაკენ მიმართული რიგი ღონისძიებების მიუხედავად, ქალთა გენდერულად მოტივირებული მკვლელობების პრევენცია, და ამგვარ საქმეებზე მართლმსაჯულების ეფექტიანი აღსრულება კვლავ მნიშვნელოვანი პრობლემაა.

გენდერული ძალადობის უკიდურესი გამოვლინების, ფემიციდის პრევენციას ხელს უშლის ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრობლემასთან კომპლექსურად ბრძოლის და სახელმწიფო უწყებებს შორის კოორდინირებული მუშაობის მხრივ არსებული პრობლემები. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობასთან ბრძოლის საკითხებზე სოციალური მუშაობის მიმართულებით, კონკრეტული ღონისძიებები ამ დრომდე არ გატარებულა და სოციალური სამსახური კვლავ ფორმალურად ერთვება ძალადობის შემთხვევათა შესწავლის პროცესში. კვლავ პრობლემურია მოძალადისთვის ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო კურსის გავლა.<sup>1</sup>

ასევე, უნდა აღინიშნოს ცალკეული ხარვეზები, რომლებიც სამართალდამცავი უწყების მხრიდან რეაგირების დროს ვლინდება. პრობლემურია რეაგირება იმ საქმეებზე, სადაც მოძალადე გავლენიანი პირია. ასეთ შემთხვევებში სახელმწიფოს მიდგომები შეცვლილია, რეაგირება დაყოვნებულია და იქმნება შთაბეჭდილება, რომ გადაწყვეტილების მიღებისას ამოსავალ წერტილად არა მსხვერპლის უფლებები, არამედ მოძალადის ინტერესები განიხილება.<sup>2</sup>

საქართველოს სახალხო დამცველი, ქალთა მიმართ ძალადობის, ძალადობის მიზეზებისა და შედეგების შესახებ გაეროს სპეციალური მომხსენებლის, დუბრაჟკა სიმონოვიჩის რეკომენდაციის შესაბამისად, 2016 წლიდან სპეციალური მეთოდოლოგიის საფუძველზე აანალიზებს ქალთა გენდერული ნიშნით მოტივირებული მკვლელობების, მკვლელობის მცდელობისა და თვითმკვლელობამდე მიყვანის საქმეებს. ამ დრომდე სახალხო დამცველმა დეტალურად გააანალიზა 2014-2018 წლებში მომხდარი ფემიციდის შემთხვევები, მოამზადა ანგარიშები და უწყებებისათვის გასცა შესაბამისი რეკომენდაციები.

მისასალმებელია, რომ გაცემული რეკომენდაციების ნაწილი შესრულდა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ რეკომენდაციის შემდგომ განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებით,

1 საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2019 წელი. გვ. 196. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ბმულზე: <http://ombudsman.ge/res/docs/2020040215365449134.pdf>

2 საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2019 წელი. გვ. 197. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ბმულზე: <http://ombudsman.ge/res/docs/2020040215365449134.pdf>

მკვლელობის ჩადენა ოჯახის წევრის მიმართ და გენდერული ნიშნით, დამამძიმებელ გარემოებად გამოიყო. ამ ფონზე საინტერესოა, რამდენად აისახა საკანონმდებლო ცვლილებები ინდივიდუალურ საქმეებზე და რამდენად სწორად გამოიყენება აღნიშნული მუხლები პრაქტიკაში.

ამჯერად, სახალხო დამცველის აპარატმა მოამზადა 2019 წელს მომხდარი ფემიციდის და ფემიციდის მცდელობის შემთხვევების მონიტორინგის ანგარიში. საქმეთა სამართლებრივი ანალიზის მეთოდოლოგია

მოიცავს მართლმსაჯულების განხორციელების და სტატისტიკის შეფასებას, რაც შესაძლებლობას იძლევა გაიზომოს მიღწეული პროგრესი და გამოვლინდეს ის ხარვეზები, რომლებიც ჯერ კიდევ რჩება და ხელს უშლის პრობლემასთან ბრძოლას.

ვიმედოვნებთ, წარმოდგენილ მიგნებებსა და რეკომენდაციებს გაითვალისწინებენ ფემიციდის წინააღმდეგ სახელმწიფო პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში.

# 1. კვლევის მეთოდოლოგია

გენდერული ნიშნით მოტივირებული ქალთა მკვლევლობების (ფემიციდის) მონიტორინგის მეთოდოლოგიური ჩარჩო სახალხო დამცველის აპარატში შემუშავდა, და ის ასევე გამოვიყენეთ წინამდებარე ანგარიშის მომზადებისას.<sup>3</sup>

კვლევის მიზნებისათვის, საქართველოში არსებული კონტექსტიდან გამომდინარე და ლათინოამერიკულ სახელმძღვანელო ოქმზე<sup>4</sup> დაყრდნობით, სახალხო დამცველი იყენებს ფემიციდის შემდეგ განმარტებას:

*ფემიციდი არის გენდერის ნიშნით ჩადენილი ქალის მკვლელობა, ანუ ქალის მკვლელობა, რომლის ჩადენის მოტივი ან კონტექსტი დაკავშირებულია ქალის მიმართ გენდერულ ძალადობასთან, დისკრიმინაციასთან, ან ქალის დაქვემდებარებულ როლთან, რაც გამოიხატება ქალზე უფლებების ქონის სურვილით, ქალთან შედარებით უპირატესი მდგომარეობით, ქალის მიმართ მესაკუთრული დამოკიდებულებით, მისი ქცევის კონტროლით, ან მის გენდერთან დაკავშირებული სხვა მიზეზით, ასევე, ქალის თვითმკვლელობამდე მიყვანა ზემოაღნიშნული მიზეზებით.*

ქალის მკვლელობის ფაქტი ავტომატურად არ ნიშნავს, რომ ჩადენილია ფემიციდი. გენდერთან დაკავშირებული ქალთა მკვლელობების გამოძიების ლათინური ამერიკის სახელმძღვანელო ოქმის მიხედვით, ფემიციდია, როდესაც მკვლელობა ან ქალის გარდაცვალება უკავშირდება ქალის გენდერს,

კერძოდ, უნდა არსებობდეს გარკვეული ნიშნები, რომ მკვლელობის ჩადენის მოტივი ან კონტექსტი დაკავშირებულია გენდერულ ძალადობასთან ან/და დისკრიმინაციასთან.<sup>5</sup>

რაც შეეხება დანაშაულის მოტივს, სასამართლო საქმეების ანალიზისას, წინამდებარე კვლევისათვის მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ ფემიციდის მოტივის ნიშნები, კერძოდ:

- მსხვერპლის მიმართ დისკრიმინაციული ან სექსისტური დამოკიდებულება;
- მესაკუთრული დამოკიდებულება;
- ქცევის კონტროლი;
- სტერეოტიპული გენდერული როლების მორჩილების მოთხოვნა.<sup>6</sup>

მსხვერპლისთვის დადგენილი გენდერული როლებისადმი დაუმორჩილებლობა და მათ წინააღმდეგ წასვლა, იკვეთება როგორც დანაშაულის მიერ დანაშაულის ჩადენის მიზეზი/მოტივი.

ფემიციდის საქმეთა მონიტორინგი ჩატარდა სამ ეტაპად. კვლევის **პირველი ეტაპი** გულისხმობდა ფემიციდთან და ფემიციდის მცდელობასთან დაკავშირებული სტატისტიკური ინფორმაციის და გამამტყუნებელი განაჩენების გამოთხოვას საერთო სასამართლოებიდან.<sup>7</sup>

3 „ფემიციდის მონიტორინგის ანგარიში: ქალთა გენდერული მკვლელობები“, 2016 წლის სისხლის სამართლის საქმეთა ანალიზი. საქართველოს სახალხო დამცველი, 2017.

4 Latin American Model Protocol for the Investigation of Gender-related Killings of Women (femicide/feminicide) („ქალთა გენდერთან დაკავშირებული მკვლელობების გამოძიების ლათინური ამერიკის სახელმძღვანელო ოქმი“ - შემდგომში: ლათინოამერიკული სახელმძღვანელო ოქმი), ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი ლათინურ ამერიკაში, ISBN 978-9962-5559-0-2, გვ. 13-14.

5 Latin American Model Protocol for the Investigation of Gender-related Killings of Women (femicide/feminicide) („ქალთა გენდერთან დაკავშირებული მკვლელობების გამოძიების ლათინური ამერიკის სახელმძღვანელო ოქმი“ - შემდგომში: ლათინოამერიკული სახელმძღვანელო ოქმი), ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი ლათინურ ამერიკაში, ISBN 978-9962-5559-0-2, გვ. 13-14.

6 მეთოდოლოგიურ საკითხებთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაციის ნახვა შესაძლებელია 2016 წლის ფემიციდის მონიტორინგის ანგარიშში. გვ. 6-10. ონლაინ ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/2KrEn9k> [ბოლოს ნანახია 2020 წლის 26 ნოემბერს].

7 ინფორმაცია გამოვითხოვეთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის იმ მუხლებთან დაკავშირებით, რომლითაც შესაძლებელი იყო ფემიციდის/ფემიციდის მცდელობის საქმეების დაკვალიფიცირება, კერძოდ: განზრახ მკვლელობა (სსკ-ის მუხლი 108), განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში (სსკ-ის მუხლი 109), განზრახ მკვლელობა უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში (სსკ-ის მუხლი 111), ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება (სსკ-ის მუხლი 117),



კვლევის **მეორე ეტაპზე**, ფემიციდის ან ფემიციდის მცდელობის გამოსავლენად, გაანალიზდა პირველი, სააპელაციო და უზენაესი ინსტანციის სასამართლოებიდან მიღებული გამამტყუნებელი განაჩენები.

კვლევის **მესამე ეტაპზე** სამივე ინსტანციის სასამართლოდან გამოვითხოვეთ საქმის სრული მასალები მეთოდოლოგიის მიხედვით შერჩეულ ფემიციდის და ფემიციდის მცდელობის საქმეთა განაჩენებზე, ასევე, აღნიშნულ საქმეებთან დაკავშირებით, ინფორმაცია შინაგან საქმეთა სამინისტროდან, მართლმსაჯულების განხორციელების ხარვეზების გამოსავლენად.<sup>8</sup>

შედეგად, საერთო სასამართლოებიდან სახალხო დამცველის აპარატს, 2019 წელს მომხდარ დანაშაულებთან დაკავშირებით, 18 განაჩენი მოეწოდა. მოწოდებული განაჩენების გაცნობის შემდგომ, საქმეთა მასალები გამოვითხოვეთ 13 სისხლის სამართლის საქმეზე, საიდანაც ფემიციდის და ფემიციდის მცდელობა გამოიკვეთა 10 საქმეში. რაც შეეხება 3 სისხლის სამართლის საქმეს:

- ერთ შემთხვევაში არ იკვეთებოდა ოჯახის წევრი ქალის თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანის ფაქტი გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით

და შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ ბოლნისის რაიონულმა სასამართლომ და თბილისის სააპელაციო სასამართლომ არ დაუშვეს შეცდომა, ამ საქმეზე გამამართლებელი განაჩენის დადგენით.<sup>9</sup> ამიტომ, იმის მიუხედავად, რომ ეს ერთი საქმე, დეტალურად იქნა გაანალიზებული, უდანაშაულობის პრეზუმფციის და მაინკრიმინირებელი მტკიცებულებების ობიექტურად არარსებობის გამო, ეს საქმე არ შეგვიტანია ამ ანგარიშში, მათ შორის, არც განზოგადებული და დეპორსონალიზებული ფორმით.<sup>10</sup>

- თბილისის საქალაქო სასამართლოს ერთი განაჩენი ეხებოდა მაზლის მიერ რძლის (ძმის ცოლის) მკვლელობას იმის გამო, რომ ფული არ ასესხა. ამ საქმეში არ იკვეთებოდა გენდერული მოტივი, ვინაიდან მკვლელობა მოტივირებული იყო თანხაზე უარის თქმის გამო შურისძიებით.<sup>11</sup>
- კიდევ ერთი საქმე, მასალების გაცნობის მიუხედავად, ანგარიშში არ შესულა, რადგან არც ამ შემთხვევაში გამოკვეთილა გენდერული მოტივი. აღნიშნული საქმე ეხებოდა დედის მიერ არასრულწლოვანი შვილის ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისთვის, ჩადენილი წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა.<sup>12</sup>

თვითმკვლელობამდე მიყვანა (სსკ-ის მუხლი 115), სსკ-ის 19,108ე და 19,109ე მუხლი (დანაშაულის მცდელობა). ასევე, 118.2 მუხლი, კერძოდ, ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა. წინა წლების ანგარიშებისაგან განსხვავებით, 2019 წლის ფემიციდის მონიტორინგის ანგარიშის მოსამზადებლად, საქართველოს უზენაესი სასამართლოდან გამოვითხოვეთ სსკ-ის 117-ე მუხლის ყველა პუნქტით დაკვალიფიცირებული სისხლის სამართლის საქმეები, სსკ-ის 118-4 მუხლით (ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება, დანაშაული ჩადენილი ოჯახის წევრის, გენდერის ნიშნით, ორსული ქალის, არასრულწლოვნის ან უმწეო მდგომარეობაში მყოფის მიმართ, რამაც გამოიწვია მსხვერპლის სიცოცხლის მოსპობა), ასევე, სსკ-ის 121-ე (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში) და სსკ-ის 122-ე (ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით) მუხლებით დაკვალიფიცირებული საქმეები. ასევე ვითხოვეთ ინფორმაციას სისხლის სამართლის კოდექსის იმ მუხლებთან დაკავშირებით, სადაც ასევე შესაძლებელია გამოიკვეთოს ფემიციდი. კერძოდ: ქალის გაუპატიურება, რამაც გამოიწვია დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა (სსკ-ის მუხლი 137.4.ბ), სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედება, რამაც გამოიწვია დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა (სსკ-ის მუხლი 138.3.ბ), უკანონო აბორტი, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა (სსკ-ის მუხლი 133.3), სტერილიზაცია თანხმობის გარეშე, რამაც სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია (სსკ-ის მუხლი 133.3), ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრება, რამაც სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია (სსკ-ის მუხლი 133.3), ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი), რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა (სსკ-ის მუხლი 143.4.ბ), წამება, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა (სსკ-ის მუხლი 144.3.გ).

8 საქმეთა ნაწილი სახალხო დამცველის აპარატს მოეწოდა მატერიალური სახით, ხოლო ორ საქმეს გავეცანი თბილისის საქალაქო სასამართლოში.

9 პროკურატურა ვერც სამედიცინო დოკუმენტით, ვერც სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით ვერ ადასტურებდა, რომ ოჯახში ძალადობის მსხვერპლმა ქალმა სანამლაკი მიიღო. ექიმი სასამართლოში აცხადებდა, რომ პაციენტი კლინიკაში წერველი შეტევის და არა მცენარეების შესაწამლი საშუალების დაღვების გამო მოხვდა. მსხვერპლი თავდაპირველად აცხადებდა, რომ ქმრისგან მიყენებული ფიზიკური შეურაცხყოფის გამო დალია აღნიშნული საშუალება, თუმცა დაზარალებულს ვერც ფიზიკური დაზიანებები დაუდასტურდა, იმის მიუხედავად, რომ დაუყოვნებლივ იქნა ჰოსპიტალიზებული და არც მის ორგანიზმში აღმოჩენილა რაიმე მომწამვლელი ნივთიერება. მოგვიანებით, დაზარალებულმა სასამართლოს საკუთარი ქმრის წინააღმდეგ ჩვენება არ მისცა.

10 ბოლნისის რაიონული სასამართლოს საქმე №1/177-19.


11 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1-5700-19.

12 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1-855-19.


## 2. ფემიციდის/ფემიციდის მცდელობების სტატისტიკა

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერის დეპარტამენტმა 2019 წელს მომხდარი ფემიციდის და ფემიციდის მცდელობის სულ 10 საქმე

გაანალიზა. გაანალიზებული 10 საქმიდან მხოლოდ 3 ეხება ფემიციდს, 7 - ფემიციდის მცდელობას.



დიაგრამა N1: ფემიციდის ჩამდენი პირები




დიაგრამა N2: ფემიციდის მცდელობის ჩამდენი პირები


სტატისტიკა, წინა წლების მსგავსად, ნათლად აჩვენებს, რომ ფემიციდს და ფემიციდის მცდელობას ქალების მიმართ უფრო ხშირად ჩადიან ქმრები, როგორც რეგისტრირებულ ქორწინებაში, ისე არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფები, ასევე ყოფილი ქმრები (ფემიციდის და ფემიციდის მცდელობის თითო საქმეში ადგილი ჰქონდა ყოფილი ქმრის მხრიდან დანაშაულს). სტატისტიკაში ხვდებიან ქმრები, რომელთაც ქალს ურთიერთობა ფაქტობრივად დამთავრებული ჰქონდა, თუმცა განქორწინება ჯერ კიდევ არ იყო გაფორმებული.<sup>13</sup>

ფემიციდის და ფემიციდის საქმეებში მოტივად ძირითადად მითითებულია „შურისძიება“ ან „შელაპარაკება“. წინა წლებისგან განსხვავებით, დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ ფემიციდის და ფემიციდის მცდელობის შესწავლილ საქმეებში გაზრდილია გენდერული მოტივის გამოკვეთის მაჩვენებელი. კერძოდ, შესწავლილი 10 საქმიდან გენდერული მოტივი აღიარებული იქნა - ფემიციდის 2 საქმეში და ფემიციდის მცდელობის 4 საქმეში.

<sup>13</sup> შეყვარებულში იგულისხმება პირი, რომელსაც არა აქვს ინტიმური კავშირი დაზარალებულთან, არ ცხოვრობს მასთან, არ ეწევა საერთო მეურნეობას.




დიაგრამა N3: ფემიციდის ჩადენის მოტივი




დიაგრამა N4: ფემიციდის მცდელობის ჩადენის მოტივი

წინა წლების მსგავსად, ტენდენცია უცვლელია და დანაშაულის ჩადენის ადგილი ყველაზე ხშირად

კვლავ სახლია, რაც დამახასიათებელია ფემიციდის სპეციფიკისთვის.



დიაგრამა N5: ფემიციდის ჩადენის ადგილი



დიაგრამა N6: ფემიციდის მცდელობის ჩადენის ადგილი

განალიზებული საქმეებიდან, **ფემიციდის ჩადენის იარაღი** 1 შემთხვევაში იყო ხელით ცემა, 1 შემთხვევაში - ფრჩხილის მკვნეტარი<sup>14</sup>, 1 შემ-

თხვევაში გამოიყენეს რამდენიმე საშუალება - ცეცხლსასროლი იარაღის ტარი, ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლილი ვაზნები, ხელყუმბარა.<sup>15</sup>

14 ე.წ. „კუსაჩიო“ დაზიანება მიყენეს ყელისა და კისრის არეში, რამაც სისხლის დაგროვება და საბოლოოდ ასფიქსიით სიკვდილი გამოიწვია.

15 აღნიშნულ საქმეში სიკვდილი უშუალოდ გამოიწვია იარაღის ტარით დაზარალებულზე არაერთგზის მიყენებულმა დარტყმებმა. მანამდე ბრალდებულმა ცოლს ტყვიები დაუშინა, თუმცა მსხვერპლმა უვნებლად აიცილა, შემდეგ, მაღაზიაში, სადაც დაზარალებული იმყოფებოდა, შეაგდო ხელყუმბარა, რომელიც არ აფეთქდა. იმის მიუხედავად, რომ სასიკვდილო შედეგი მხოლოდ ცეცხლსასროლი იარაღის ტარით მრავალჯერადმა დაზიანებებმა გამოიწვია, ის, რომ ხელყუმბარა არ აფეთქდა და დაზარალებულმა ნასროლი ტყვიები აიცილა, ბრალდებულისაგან დამოუკიდებლად მოხდა, ამავე დროს ამ საშუალებებით ჩადენილმა დანაშაულმა გავლენა მოახდინა დანაშაულის, როგორც განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილ მკვლელობად კვალიფიკაციაზე. ამიტომ, სტატისტიკაში სამივე დანაშაულის იარაღი შევიდა. მსხვერპლმა სიცოცხლის უკანასკნელი წუთები განსაკუთრებულ შიშსა და ტკივილში გაატარა ბრალდებულის მიერ გამოყენებული საშუალებების გამო.


**ფემიციდის მცდელობის ჩადენის იარაღი** 3 შემთხვევაში იყო დანა, 2 შემთხვევაში - პატივისა და ღირსების სისტემატური შელახვა, 1 შემთხვევაში - ცეცხლსასროლი იარაღი და 1 შემთხვევაში აივნიდან გადაგდების მცდელობა.

საკმაოდ გახშირებულია ალკოჰოლური თრობის დროს ფემიციდის/ფემიციდის მცდელობის ჩადენის


შემთხვევები - გაანალიზებული 10 საქმიდან, 7 დანაშაული, სწორედ ალკოჰოლური თრობის ქვეშ არის ჩადენილი.<sup>16</sup>

შესწავლილი საქმეების მიხედვით, ფემიციდს/ფემიციდის მცდელობას ძირითადად, უმუშევარი ან დაბალი კვალიფიკაციის სამუშაოს, შესაბამისად, დაბალი შემოსავლის მქონე პირები ჩადიან.<sup>17</sup>

რაც შეეხება დანაშაულის ჩამდენ პირთა ნასამართლობას, სტატისტიკა ასე გამოიყურება:



**დიაგრამა N7:** ფემიციდის ჩამდენ პირთა ნასამართლობა



**დიაგრამა N8:** ფემიციდის მცდელობის ჩამდენ პირთა ნასამართლობა

გაანალიზებული 10 საქმიდან, 2 შემთხვევაში როგორც ბრალდებული, ისე დაზარალებული ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი იყო.<sup>18</sup>

რაც შეეხება გაანალიზებულ საქმეთა კვალიფიკაციას, შემდეგნაირად გამოიყურება:

16 ფემიციდის ჩადენისას 2 ბრალდებული ნასვამი იყო, 1 - ფხიზელი. ფემიციდის მცდელობის ჩადენისას 5 ბრალდებული იყო ნასვამი, 2 - ფხიზელი.

17 **განათლება:** ფემიციდის ჩამდენი ბრალდებულებიდან ტექნიკური განათლება ჰქონდა 1 პირს, საშუალო განათლება - 1 პირს, უმაღლესი განათლება, ასევე, 1 პირს. ფემიციდის მცდელობის ჩამდენი ბრალდებულებიდან 6 პირს ჰქონდა საშუალო განათლება, 1 - უმაღლესი.

**დასაქმება:** რაც შეეხება დასაქმების მონაცემებს, ფემიციდის ჩამდენი პირებიდან 2 იყო უმუშევარი, 1 - თვითდასაქმებული (მოვაჭრე), ფემიციდის მცდელობის ჩამდენი პირებიდან 4 იყო უმუშევარი, ხოლო 3 დასაქმებული (დარაჯი, კერძო კომპანიის ხელოსანი).

18 ერთ საქმეში იმის მიუხედავად, რომ ბრალდებული და დაზარალებულის შვილები წლებია საქართველოში ცხოვრობდნენ და ქართული ენა იცოდნენ, ქართულად კითხვა უჭირდათ. მათი მშობლიური ენა რუსული იყო და გამოძიებას ჩვენებას თარჯიმნის მეშვეობით აძლევდნენ, ხოლო საპროცესო დოკუმენტაცია ითარგმნებოდა რუსულ ენაზე. ამიტომ, ამ საქმეში როგორც ბრალდებული, ისე დაზარალებული მიჩნეულები არიან ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებად (გორის რაიონული სასამართლოს საქმე №1/352-19). მეორე საქმე ეთნიკური აზერბაიჯანელებით დასახლებულ სოფელს ეხება. როგორც დაზარალებული, ისე ბრალდებული თავს ეთნიკურ აზერბაიჯანულ თემს აკუთვნებდნენ (გორის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 28 თებერვლის საქმე №1/495-19).

## ფემიციდის საქმეები

- სსკ-ის 11<sup>1</sup>-109-2 „ვ“ ქვეპუნქტი (ოჯახის წევრის მკვლელობა) – 2 საქმე
- სსკ-ის 11<sup>1</sup>-117-6 (უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახის წევრის ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა) - 1 საქმე
- სსკ-ის 11<sup>1</sup>-109-3 „ბ“ ქვეპუნქტი (ოჯახის წევრის განსაკუთრებული სისასტიკით მკვლელობა)<sup>19</sup> - 1 საქმე

## ფემიციდის მცდელობის საქმეები

- სსკ-ის 11<sup>1</sup>-117-ე მუხლის პირველი ნაწილი (ოჯახის წევრის ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება) - 2 საქმე

- სსკ-ის 117-ე მუხლის პირველი ნაწილი (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება) – 1 საქმე
- სსკ-ის 11<sup>1</sup>-115-ე მუხლი (ოჯახის წევრის თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანა) – 1 საქმე
- სსკ-ის 11<sup>1</sup>-115-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი (თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანა ჩადენილი არაერთგზის სისხლის სამართლის კოდექსის 126<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებული ოჯახში დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლევი პირის მიერ) – 1 საქმე
- სსკ-ის 19-109 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი (მკვლელობის მცდელობა წინასწარი შეცნობით ორსული ქალის მიმართ, განსაკუთრებული სისასტიკით) - 1 საქმე
- სსკ-ის 19-109 მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტი და მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი (ოჯახის წევრის მკვლელობის მცდელობა, ჩადენილი არაერთგზის) - 1 საქმე.

<sup>19</sup> ამ საქმეში გორის რაიონულმა სასამართლომ ბრალდებული დამნაშავედ ცნო სსკ-ის 11<sup>1</sup>-109-2 „ვ“ ქვეპუნქტის ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის იდეალური ერთობლიობით - ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორე წევრის განზრახ მკვლელობა განსაკუთრებული სისასტიკით.

### 3. ფემიციდის გამოვლენილი კატეგორიები და ტიპები

2019 წლის სისხლის სამართლის საქმეებში იკვეთება დანაშაულის ჩამდენი პირის მიერ დაზარალებულის ქცევის კონტროლის შემთხვევები, მაგალითად, ცოლის თვითმკვლელობამდე მიყვანა იმის გამო, რომ სარგებლობს სოციალური ქსელით<sup>20</sup> ან შვილს (გოგოს) პატრიარქალურ საზოგადოებაში არსებული წესების შესაბამისად არ ზრდის (დედა თავის შვილს ფრჩხილებზე ლაკს უსვამს).<sup>21</sup> ფემიციდის მოტივი გამხდარა ქალის დასჯა უცნაურად გამონათქვამებისათვის, რაც პატრიარქალურ საზოგადოებაში შეუფერებელია ქალისათვის.<sup>22</sup> ფემიციდის მიზეზი ხდება ცოლის მიმართ უსაფუძვლო ეჭვიანობა, მის მიმართ მესაკუთრული დამოკიდებულება.<sup>23</sup> განქორწინების შემთხვევაში, ქმართან ბავშვების ნახვის საკითხზე შეუთანხმებლობა.<sup>24</sup> ცოლზე თავდასხმის მიზეზი ასევე გახდა მამაკაცის სურვილი, საოჯახო სახსრები ერთპიროვნულად, საკუთარი შეხედულებით განეკარგა.<sup>25</sup> მკვლელობის მცდელობის მიზეზი გამხდარა სხვა

მამაკაცისაგან ქალის დაორსულება,<sup>26</sup> ქალის მხრიდან ყოფილ ქმართან თანაცხოვრების სურვილის არქონა და მის მიმართ ძალადობის გამო შემაკავებელი ორდერის გამოცემის მოთხოვნა.<sup>27</sup> ფემიციდის მცდელობად არის მიჩნეული შემთხვევა, როდესაც ბრალდებულს დაზარალებული ქალის ქმრის მიმართ „სისხლის აღება“ ამოძრავებდა და ქალისთვის მხოლოდ იმიტომ უსვრია იარაღით, რომ მას შურისძიების მთავარი ობიექტის კუთვნილებად აღიქვამდა.<sup>28</sup>

შვილების დედებზე თავდასხმის მიზეზი გამხდარა, მაგალითად, ბებულის მხრიდან შვილიშვილების მოვლაზე უარის თქმა. დაზარალებულმა ქალმა უარი თქვა, მასთან სტუმრად მყოფი ბრალდებულის შვილებისთვის საჭმელი შეეთავაზებინა. საწოლს მიჯაჭვული დედის უმოწყალო ცემის მიზეზი ის იყო, რომ შვილს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე დედის მოვლა არ სურდა.<sup>29</sup>

20 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/4065-19.  
21 ახალციხის რაიონული სასამართლოს საქმე №1/119-19.  
22 გორის რაიონული სასამართლოს საქმე №1/352-19.  
23 ახალციხის რაიონული სასამართლოს საქმე №1/119-19.  
24 გორის რაიონული სასამართლოს საქმე №1/71-20.  
25 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/4127-19.  
26 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1-4791-19.  
27 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1-4065-19.  
28 გორის რაიონული სასამართლოს საქმე №1/495-19.  
29 სიღნაღის რაიონული სასამართლოს საქმე №1/138-19.



## 4. გამოძიების ეტაპზე არსებული ხარვეზები

### 4.1. სტერეოტიპული დამოკიდებულება

გამოძიების ეტაპზე, თავს იჩენს გამოძიებლის მხრიდან მსხვერპლის მიმართ სტერეოტიპული დამოკიდებულების გამოვლენის პრობლემა. კერძოდ, მისი პირადი, სექსუალური ცხოვრებით დაინტერესება, მაშინაც კი, როცა ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს საქმის გარემოებების დასადგენად. გორის რაიონული სასამართლოს მიერ განხილულ საქმეში<sup>30</sup> გამოიკითხა მამაკაცი, რომელიც ყოფილი ქმრის მიერ მოკლული ქალის შეყვარებული იყო. ბრალდებული ცოლის მკვლელობის ერთ-ერთ მიზეზად ასახელებდა იმას, რომ მისი ყოფილი ცოლი, მათ საერთო შვილს „უნესო“ გარემოში ზრდიდა და მის შვილს კონტაქტი ჰქონდა დედის შეყვარებულთან.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს დეტექტივის თანაშემწემ მოკლული ქალის ყოფილ შეყვარებულს ჰკითხა: „თქვენი და ნ-ს ურთიერთობის პერიოდში, ნ-ს შვილების თანდასწრებით, ისე რომ შვილებს დაენახათ და გაეგოთ, ხომ არ ყოფილა თქვენს შორის ან თქვენი თანდასწრებით სხვების მხრიდან რაიმე ინტიმური კავშირი?“ მსგავსი შეკითხვა დაუსვა გამოძიებელმა მოკლული ქალის 11 წლის გოგოს და 9 წლის ვაჟსაც. მათგან გამოძიებამ მიიღო იდენტური შინაარსის პასუხები: „მე არასოდეს არ მახსოვს, რომ ბებიაჩემს და დედაჩემს სახლში მოეყვანოს უცხო კაცები ან ჩადენილი ჩემი თანდასწრებით რაიმე ცუდი საქციელი“.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ საქმეზე გამოძიება მიმდინარეობდა სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მეორე ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით (ოჯახის წევრის მკვლელობა) და სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მესამე ნაწილის

„ბ“ ქვეპუნქტით (განსაკუთრებული სისასტიკით განზრახ მკვლელობა). გამოძიებას არცერთი ინკრინინირებული დანაშაულის შემადგენლობის არსებობის დასადასტურებლად არ სჭირდებოდა მოკლული ქალის ინტიმურ ცხოვრებაზე მტკიცებულებების შეგროვება.

ბრალდებულის ქმედება სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტითაც (განზრახ მკვლელობა გენდერის ნიშნით) რომ ყოფილიყო დაკვალიფიცირებული, რაც ასევე უნდა მოიცავდეს მკვლელობას ეჭვიანობის ნიადაგზე, ამგვარი კითხვის დასმის აუცილებლობა მაინც არ იარსებებდა. ეჭვიანობა ადამიანის სუბიექტური განწყობაა და ხშირად არ ეფუძნება ობიექტურად მტკიცებად ფაქტებს. უფრო მეტიც, ლალატის ფაქტი შესაძლოა ბუნებაში არც არსებობდეს და ის მხოლოდ მკვლელობის ჩამდენი პირის უსაფუძვლო ეჭვის შედეგი იყოს. ასეთ შემთხვევაში ლალატის ფაქტის უტყუარად დადასტურების შეუძლებლობა ვერ იქნება იმის წინაპირობა, რომ სასამართლო უსაფუძვლო ეჭვიანობის ნიადაგზე ჩადენილ მკვლელობას გენდერული ნიშნით ჩადენილ დანაშაულად არ დააკვალიფიცირებს, ვინაიდან მკვლელობის მასტიმულირებელი ფაქტორი სწორედ უსაფუძვლო ეჭვიანობა გახდა. შესაბამისად, ეჭვიანობის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულის საქმეებზე, აუცილებელი არ არის ამ ეჭვის არსებობის დამადასტურებელი მტკიცებულებების მოპოვება. ამ დროს მხოლოდ იმის დადგენაა მნიშვნელოვანი, რომ ლალატის თაობაზე ეჭვი არსებობდა ბრალდებულის წარმოდგენებში, რის გამოც ბრალდებულმა მოკლა დაზარალებული. რამდენად საფუძვლიანი იყო ეს ეჭვები, ამის მესამე პირებთან გადამონმება ხშირად ყოველგვარ აზრს მოკლებულია, ვინაიდან ლალატის ფაქტი, შესაძლოა, ობიექტურად არც არსებობდეს.

მოცემულ შემთხვევაში, მკვლელობის მოტივის დასადგენად სრულიად საკმარისი იყო მხოლოდ

30 გორის რაიონული სასამართლოს საქმე №1/71-20.

ბრალდებულის განცხადებები მეუღლის დალატ-თან დაკავშირებით. შესაბამისად, ქმედების კვალი-ფიკაციისთვის ან სასჯელის განსაზღვრად, აუცილებელი არ იყო მოკლული ქალის ინტიმურ ცხოვრებასთან დაკავშირებით კითხვის დასმა სხვა პირისთვის, მით უმეტეს, მოკლულის არასრულ-ლოვანი შვილებისთვის.

## 4.2. ხარვეზები მტკიცებულებების შეგროვებისას

რუსთავის საქალაქო სასამართლოს ერთ-ერთი საქმე<sup>31</sup> ეხებოდა შვილის მიერ დედის გულ-მკერდის კედლის მარჯვენა ნახევარში დანით დაჭრას იმის გამო, რომ დედამ უკმაყოფილება გამოთქვა მის სახლში შვილიშვილების (ბრალდებულის შვილები) მიყვანის გამო, რადგან წარსულში თავის ყოფილ რძალთან (ბავშვების დედასთან) უთანხმოება ჰქონდა. ამ საქმეში ქმედების კვალიფიკაცია მოხდა სისხლის სამართლის კოდექსის 11<sup>1</sup>-117-1 მუხლით (სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება).

2019 წლის 11 იანვარს დაზარალებული დედის ადვოკატმა საჩივარი წარადგინა. საჩივრის ავტორმა სადავოდ გახადა ქმედების კვალიფიკაცია სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლით, ვინაიდან ადვოკატის თქმით, ბრალდებულს ანგარების მიზნით ჰქონდა განზრახული დედის მოკვლა. ამისათვის მან გულმკერდის არეში დიდი ზომის დანით მიაყენა დაზიანება დედას. ადვოკატის თქმით, ეს იყო მკვლელობისკენ მიმართული ქმედება. ადვოკატის თქმით, ბრალდებული დედისაგან სახლის მისთვის გადაფორმებას ითხოვდა. ადვოკატი ქმედების 11<sup>1</sup>-19-109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით დაკვალიფიცირებას (ოჯახის წევრის მკვლელობის მცდელობა ჩადენილი ანგარებით) მოითხოვდა.

ქმედების გადაკვალიფიცირებაზე ადვოკატის საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ვინაიდან სამედიცინო ექსპერტის მიერ დაზიანების ლოკალიზაცია და ხარისხი არ იყო დადგენილი.

ამ საქმეზე სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა 2019 წლის 20 თებერვალს შედგა. დასკვნაში აღნიშნულია: „გ.ბ-ს აღენიშნებოდა ნაჩხვლეთ-ნა-

კვეთი ჭრილობა გულ-მკერდის კედლის მარჯვენა ნახევარში, ოპერაციულად დაუდგინდა: გულ-მკერდის ღრუში შემავალი ჭრილობა ორგანოების დაზიანებით, ტრავმული ჰემოპნევმოთორაქსი, ფილტვის ტრავმა, პლევრის ტრავმა, დიაფრაგმის ტრავმა, ღვიძლის ტრავმა, ჰემოპერიტონეუმი. აღნიშნული დაზიანება განვითარებულია მჩხვლეთავ-მჭრელი ზედაპირის მქონე საგნის მოქმედებით და მიეკუთვნება სიცოცხლისათვის სახიფათო მძიმე ხარისხს“.

ექსპერტიზის დასკვნის მიუხედავად, შემდგომი საგამოძიებო მოქმედება დაზარალებულის ადვოკატის მიერ მითითებული ანგარების მოტივის გამოსაკვეთად, აღარ ჩატარებულა. ანგარებით მკვლელობის განზრახვის გამოსაკვლევად დაზარალებული მხარე არ გამოუკითხავთ. დასადგენი იყო, თუკი ბრალდებულს განზრახული ჰქონდა დაზარალებულის მკვლელობა, რამ შეუშალა მას ხელი ამ განზრახვის ბოლომდე მიყვანაში. ამისათვის საჭირო იყო დაზარალებულის დამატებითი გამოკითხვა, მისთვის დამაზუსტებელი კითხვების დასმა, რაც არ მომხდარა. უცნობია, გამოძიებამ რატომ არ გამოკითხა დაზარალებული დამატებით, თუმცა, ცხადია, ამგვარი გამოკითხვის ჩაუტარებლობამ გავლენა მოახდინა ქმედების კვალიფიკაციაზე და სასამართლოს მიერ, ბრალდებულის შედარებით მსუბუქი მუხლით დამნაშავედ ცნობაზე. ეს გარემოება, ფემიციდის მცდელობის საქმეზე მტკიცებულებების მოპოვების მიმართულებით, შეიძლება, გამოძიების ხარვეზად ჩაითვალოს.

კიდევ ერთი საქმე, სადაც მტკიცებულებების მოპოვების მიმართულებით ხარვეზი გამოვლინდა გორის რაიონულმა სასამართლომ განიხილა.<sup>32</sup> სასამართლომ ქალის მკვლელობის მცდელობის გადაკვალიფიცირება მოახდინა სისხლის სამართლის კოდექსის 19-109 მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ (ორი პირის განზრახ მკვლელობის მცდელობა) ქვეპუნქტიდან სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის პირველ ნაწილზე. ამ საქმეში ბრალდებულმა, ბიძის მოკვლისათვის შურისძიების მიზნით, ცეცხლსასროლი იარაღით მოკლა მამაკაცი და დაჭრა მოკლულის მეუღლე. გორის რაიონულმა სასამართლომ ქალის დაჭრის ნაწილში ქმედება სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლით (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება) გადააკვალიფიცირა.

31 საქმე №1-133-19.

32 გორის რაიონული სასამართლოს საქმე №1/495-19.



გორის რაიონულმა სასამართლომ 2020 წლის 28 თებერვლის განაჩენში განაცხადა: „რაც შეეხება მ.ბ.-ს მკვლელობის მცდელობას, სასამართლო არ უარყოფს, რომ მ.ბ. თავისი ქმრის გვერდით იდგა, როდესაც ნ.კ.-მ ესროლა და ამ მომენტში ბრალდებულის მხრიდან, როგორც შ.ჯ.ო.-ს, ასევე მ.ბ.-ს მოკვლის განზრახვა (თუნდაც არაპირდაპირი) უდავოა. მაგრამ რომც გავიზიაროთ, ბრალდების მხარის მტკიცება, თითქოს დაზარალებული 5-6 მეტრის გავლის [შემდეგ] კედელს მიეფარა, როგორ უნდა გაბათილდეს ბრალდებულის მტკიცება, რომ მას ხელს არაფერი უშლიდა რომ მოეკლა მ. ბ.-ც. მართლაც, მას ხელთ ჰქონდა ორლულიანი თოფი და პისტოლეტი. მის წინ დაახლოებით 5-7 მეტრში მძიმედ დაჭრილმა ქალბატონმა როგორ უნდა გაიაროს (ორჯერ წაბორძიკებით) თუნდაც 5-6 მეტრი ისე, რომ მისი მიმართულებით მაინც (დამიზნების გარეშეც არ ისროლოს დამნაშავემ?“

ამგვარად, სასამართლომ უტყუარად დაადგინა, რომ თავდაპირველად, ნ.კ.-ს განზრახული ჰქონდა როგორც შ.ჯ.ო.-ს, ისე მისი ცოლის, მ.ბ.-ს მოკვლაც. ცეცხლსასროლი იარაღი და პისტოლეტი არის ლეტალური საშუალება, მით უმეტეს, მკვლელობის განზრახვა გამოვლინდა თავის არეში (სასიცოცხლო ორგანო) საფანტის შემცველი მასრით დამუხტული იარაღის დამიზნებით. ამას არც გორის რაიონული სასამართლო უარყოფს. გორის რაიონული სასამართლოს განაჩენიდან შეიძლება იმგვარი დასკვნის გამოტანა, რომ ნ.კ.-მ ხელი აიღო მკვლელობის ბოლომდე მიყვანაზე მ.ბ.-ს მიმართ.

გორის რაიონული სასამართლოს დასაბუთების ძირითადი ნაწილი მიემართება იმას, რომ ნ. კ.-ს მ.ბ.-ს გაქცევის მომენტში შეეძლო მისი მოკვლა, მით უმეტეს იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მას ხელში ეკავა ავტომატი და მაკაროვის სისტემის პისტოლეტი. გორის რაიონული სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებს სირბილის დროს მ.ბ.-ს წაბორძიკების ფაქტს. მოსამართლის თქმით, მ.ბ.-ს წაბორძიკება ბრალდებულს საკმარის დროს მისცემდა იმისათვის, რომ მისთვის ცეცხლსასროლი იარაღიდან ესროლა.

თავად მ.ბ. სასამართლოსათვის მიცემულ ჩვენებაში აცხადებდა, რომ პირველი სროლიდან და მისი დაჭრიდან, მან 5-6 მეტრი გაირბინა და ნ.კ.-ს ხილვადობის არეს იმ ადგილას მოეფარა, სადაც საცხოვრებელი სახლის კედელი კუთხეს წარმოქმნის და ეს ადგილი აღარ ჩანს ავზის მიმდებარე ტერიტორიიდან, სადაც იდგა ბრალდებული. შესაბამისად, იმის გამო, რომ

რამდენიმე წამის შუალედში ნ.კ. ვერ ხედავდა მ.ბ.-ს, განმეორებით ვერ ესროდა. მ. ბ.-მ ასევე განაცხადა, რომ იმ მიწის ნაკვეთს, სადაც ნ.კ. იდგა, და ეზოს, სადაც საკუთარ ქმართან ერთად იმყოფებოდა, ჰყოფდა 2 მეტრამდე კედელი. ამასთან, მიწის ნაკვეთიდან, სადაც ნ.კ. იმყოფებოდა, შ.ჯ.ო.-ს სახლში მოსახვედრად, საჭიროა 15 მეტრში მდებარე რკინის კიბესთან მისვლა და იქიდან ეზოში შესვლა.

აღნიშნულ საქმეზე პროკურატურას საგამოძიებო ექსპერიმენტი არ ჩაუტარებია, რაც დაადგენდა იმას, შესაძლებელი იყო თუ არა იმავე განათების პირობებში ბრალდებულის მიერ კედლის კუთხის დანახვა, სადაც დაზარალებული ქალი გაიქცა. საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარება პროკურატურის პოზიციას გაამყარებდა, რომელის მიხედვითაც ნ.კ.-მ ნებაყოფლობით კი არ აიღო მკვლელობაზე ხელი, არამედ მისგან დამოუკიდებლმა მიზეზებმა, გარემო პირობებმა შეუშალა ხელი, ბოლომდე მიეყვანა მ.ბ.-ს მოკვლის განზრახვა. შეიძლება ითქვას, რომ საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩაუტარებლობა გამოძიების ხარვეზს წარმოადგენს და სწორედ ამ ხარვეზმა იქონია გავლენა სასამართლოს გადაწყვეტილებაზე, რომლის მიხედვითაც კვალიფიკაცია მსუბუქი მუხლით შეიცვალა.

### 4.3 დაზარალებულად ცნობა

2019 წლის ფემიციდის და ფემიციდის მცდელობის საქმეების გამოძიების დადებითი ტენდენციაა დაზარალებულად ცნობის დაჩქარება. 10-დან 6 საქმეში პირი ბრალდების შესახებ დადგენილების მიღების დღესვე ცნეს დაზარალებულად. 1 შემთხვევაში, პირი დაზარალებულად ცნეს დანაშაულებრივი ქმედების ჩადენიდან 13 დღის შემდეგ.<sup>33</sup> სისხლის სამართლის საქმეებში, დაზარალებულად ცნობის დადგენილება, უმეტესად, წინ უძღვის პირის ბრალდების შესახებ დადგენილებას, რაც უდავოდ იმაზე მიუთითებს, რომ დაზარალებულად ცნობა ხდება უსწრაფესად, დანაშაულის ჩადენიდან რამდენიმე საათის გასვლის შემდეგ.

თუმცა ამ ტენდენციიდან არსებობს 3 გამონაკლისი და სამივე შემთხვევა ეხება შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურის საქმეებს. სამივე ამ საქმეზე პროკურატურამ საგრძნობლად დააგვიანა დაზარალებულად/დაზარალებულის უფლებამონაცვლედ პირის ცნობა:

ერთი საქმე<sup>34</sup> ეხებოდა ქმრის მიერ ცოლისათვის ფრჩხილის მკვნეტარით მიყენებულ დაზიანებებს,

33 თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ განხილულ ერთ საქმეში, დანაშაულებრივი ქმედება მოხდა 2019 წლის 27 აგვისტოს, ხოლო პროკურატურამ დანაშაულის მსხვერპლი ქალი დაზარალებულად ცნო 2019 წლის 9 სექტემბერს.

34 გორის რაიონული სასამართლოს საქმე №1/352-19.

რამაც ქალის გარდაცვალება გამოიწვია. ეს დანაშაული 2019 წლის 9 მაისს მოხდა. ქმარს ბრალი 2019 წლის 11 მაისს წარუდგინეს. დაზარალებულის უფლებამონაცვლედ მოკლული ქალის ვაჟი და ბრალდებულის გერი, 2019 წლის 8 ივლისს ცნეს პროკურორის დადგენილებით. მოკლულ ქალს კიდევ ჰყავდა ოთხი ქალიშვილი. 2019 წლის 5 ივნისს გამოძიებამ გამოკითხა მოკლული ქალის სამი ქალიშვილი, რომლებმაც დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ძმის ცნობას მხარი დაუჭირეს. მოკლულის მეოთხე ქალიშვილმა იგივე პოზიცია გამოხატა 2019 წლის 17 ივნისს. ამგვარად, ერთი რიგის მემკვიდრეებს შორის, 2019 წლის 17 ივნისიდან უკვე აღარ არსებობდა წილის ყრის ჩატარების გზით დაზარალებულის უფლებამონაცვლის გამოვლენის აუცილებლობა და ამ დღიდან უკვე შესაძლებელი იყო მოკლული ქალის ვაჟის დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობა. თუმცა მოკლული ქალის შვილი დაზარალებულის უფლებამონაცვლედ დაგვიანებით, 21 დღის შემდეგ, 2019 წლის 8 ივლისს ცნეს.

მეორე საქმე<sup>35</sup> ეხებოდა მაღაზიაში ყოფილი ქმრის მიერ ცოლის ავტომატის ტარის მრავალჯერადი დარტყმით, განსაკუთრებული სისასტიკით მკვლელობას. დანაშაული მოხდა 2019 წლის 11 ოქტომბერს, პირის ბრალდების შესახებ დადგენილება 2019 წლის 13 ოქტომბერს მიიღეს. 2019 წლის 12 ნოემბერს, მკვლელობიდან თითქმის ერთი თვის გასვლის შემდეგ, გამოიკითხა მოკლულის დედა. ამ უკანასკნელმა თანხმობა გამოთქვა, გარდაცვლილის უფლებამონაცვლედ მისი მეორე ქალიშვილი, მოკლულის და, ი.გ. ყოფილიყო. 2019 წლის 20 ნოემბერს დაკითხულმა მოკლულის ძმამ, მხარი დაუჭირა თავისი დის, ი.გ.-ს ჩართვას დაზარალებულის უფლებამონაცვლედ. ამის მიუხედავად, მხოლოდ 2020 წლის 13 იანვარს, მკვლელობიდან სამი თვის და დაზარალებულის ახლობლების პოზიციის მოსმენიდან ორი თვის გასვლის შემდეგ, შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურის პროკურორის დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობის თაობაზე დადგენილებით, ცნეს დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ი.გ. გაუგებარია, რამ გამოიწვია ამ საქმეში დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობის ამგვარი გაჭიანურება.

კიდევ ერთი საქმე,<sup>36</sup> რომელსაც შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურა იძიებდა, ეხებოდა ქმარზე შურისძიების გამო მისი ცოლისათვის სიცოცხლისათვის საშიში დაზიანების მიყენებას. დანაშაული 2019 წლის 6 ივნისს მოხდა.

დაზარალებული ქალი, მ.ბ. მისთვის ფიზიკური დაზიანების მიყენების ეპიზოდთან დაკავშირებით, შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურამ დაზარალებულად ცნო 2019 წლის 27 აგვისტოს, მისი პირველი დაკითხვიდან, 2019 წლის 12 ივნისიდან, ორ თვეზე მეტი დროის გასვლის შემდეგ. იმის გათვალისწინებით, რომ მ.ბ. ჯერ კიდევ 2019 წლის 12 ივნისიდან იყო კონტაქტური და, საქმე ეხებოდა მის დაზარალებულად (სტატუსი, რომელშიც ვერაზინ შეედავებოდა, ვინაიდან უშუალოდ მ.ბ.-სათვის მიყენებულ ფიზიკურ ზიანს ეხებოდა) და არა დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობას, გაუგებარია, რატომ გააჭიანურა შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურამ პირის დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილების გამოცემა.

#### 4.4. გენდერული ნიშნით ქმედების კვალიფიკაცია

დანაშაულის ჩადენის მოტივის სწორად სახელდება და გენდერული მოტივის გამოკვეთა, გამოძიების ეტაპზე კვლავ პრობლემად რჩება. რიგ საქმეებში ასეთი მოტივის დადგენისთვის საკმარისი ინფორმაციის მიუხედავად პროკურატურის მიერ არ მომხდარა დანაშაულის გენდერულად მოტივირებულად სახელდება.

ახალციხის რაიონულმა სასამართლომ განიხილა საქმე,<sup>37</sup> რომელიც ეხებოდა ქალის, თ.ა.-ს მიერ მედიკამენტების მიღების გზით თავის მოკვლის მცდელობას, რადგან მას სისტემატურად ამცირებდა ქმარი, გ.ნ. თვითმკვლელობის მცდელობის მომენტში გ.ნ. ნასამართლევი იყო სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე პრიმა მუხლით ცოლისა და ოჯახის სხვა წევრების მიმართ ოჯახში ძალადობის გამო და ეს ნასამართლობა არ ჰქონდა მოხსნილი ან გაქარწყლებული. ამის გამო, გ.ნ.-ს ქმედება დაკვალიფიცირდა 11<sup>1</sup>-115-2.ბ მუხლით (თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანა მსხვერპლის პატივისა და ღირსების სისტემატური დამცირებით, ჩადენილი არაერთგზის).

ქმრისგან სისტემატური დამცირების გამო თ.ა.-მ თავის მოკვლა სცადა 2019 წლის 3 მარტს. 2018 წლის 30 ნოემბრიდან სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, თვითმკვლელობამდე ან თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანის დამამძიმებელი გარემოებაა გენდერის ნიშნით ამ

35 გორის რაიონული სასამართლოს საქმე №1/71-20.  
36 გორის რაიონული სასამართლოს საქმე №1/495-19.  
37 ახალციხის რაიონული სასამართლოს საქმე №1/119-19.

ქმედების ჩადენა. საქმის ფაქტობრივი გარემო-  
ებებიდან იკვეთება, რომ ბრალდებული დაზარა-  
ლებულს „ბოზს“ ეძახდა, უსაფუძვლოდ ადანაშა-  
ულებდა, რომ ინტიმური ურთიერთობა ჰქონდა სხვა  
მამაკაცებთან. ეს გარემოება ეჭვიანობაზე მიუთი-  
თებს. სწორედ ამ მოტივით ამცირებდა ბრალდე-  
ბული დაზარალებულს სისტემატურად და ლახავდა  
მის პატივსა და ღირსებას. ეჭვიანობა და ამ მოტივით  
ქალზე ფსიქოლოგიური და ფიზიკური ძალადობა, იმ  
სტერეოტიპულ შეხედულებას ეფუძნება, რომ ქალი  
მამაკაცის კუთვნილებაა და მამაკაცს აქვს უფლება,  
დასაჯოს ცოლი ისეთი ქმედების ჩადენისათვის,  
რაც პატრიარქალურ საზოგადოებაში ქალისათვის  
შეუფერებლად მიიჩნევა. ბრალდებული თავის  
ცოლზე ძალადობას იმით ხსნიდა, რომ მის ცოლს  
სხვა კაცების მანქანაში ხედავდნენ, ამით სახელი  
უტყდებოდა მის ვაჟს. ამასთან, დედა თავის შვილს  
(გოგოს) ხელის ფრჩხილებზე ლაქს უსვამდა და ამით  
მას „სუსტი ყოფაცქევის ქალად“ (სტილი დაცულია)  
ზრდიდა. ამ მიზეზებით ქალის პატივისა და ღირსების  
დამცირება დანაშაულებრივი ქმედების გენდერული  
ნიშნით მოტივირებულობაზე მიუთითებს.

მონმეთა ჩვენებების მიუხედავად, პროკურატურას  
არ უცდია, ქმედების კვალიფიკაცია სისხლის  
სამართლის კოდექსის 115-ე მუხლის მეორე ნაწი-  
ლის „ბ“ ქვეპუნქტით (თვითმკვლელობის ცდამდე  
მიყვანა გენდერული ნიშნით) მოეხდინა. ქმედების  
კვალიფიკაცია მოხდა მხოლოდ სისხლის სამარ-  
თლის კოდექსის 115-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“  
ქვეპუნქტით (თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანა  
ჩადენილი არაერთგზის). ამის მიზეზი ის იყო, რომ  
დანაშაულის ჩადენის მომენტში ბრალდებულს  
სისხლის სამართლის კოდექსის 126<sup>1</sup> მუხლით გათ-  
ვალისწინებული ნასამართლობა არ ჰქონდა მოხ-  
სნილი ან გაქარწყლებული. შესაბამისად, სისხლის  
სამართლის კოდექსის მე-11<sup>1</sup> მუხლის შენიშვნის  
მე-2 ნაწილის თანახმად, ოჯახის წევრის მიმართ  
115-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის  
(თვითმკვლელობის ცდამდე) ჩადენა იმ პირის  
მიერ, რომელიც ნასამართლევი იყო 126<sup>1</sup> (ოჯახში  
ძალადობა) მუხლით, ჩაითვალოს არაერთგზის დანა-  
შაულად.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სისხლის სამარ-  
თლის კოდექსის 115-ე მუხლის მე-2 ნაწილის როგორც  
„ა“ ქვეპუნქტი (ეს არის ნორმა, რომლითაც ბრალ-  
დებულის ქმედების კვალიფიკაცია მოხდა), ისე  
„ბ“ ქვეპუნქტი (დანაშაულის შემადგენლობა, რომ-  
ლითაც ბრალდებულის ქმედების კვალიფიკაცია

არ მომხდარა), ითვალისწინებს ერთსა და იმავე  
სანქციას: თავისუფლების აღკვეთას სამიდან ექვს  
წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების  
შეზღუდვას ან უამისოდ. შესაბამისად, ბრალდე-  
ბულის ქმედება დამატებით დაკვალიფიცირდე-  
ბოდა თუ არა გენდერის ნიშნით, თუ მხოლოდ  
არაერთგზის თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანით,  
ბრალდებულს მაინც ერთი და იმავე ზომის სასჯელი  
ემუქმებოდა. იმის მიუხედავად, რომ სანქციის ზომა  
მაინც ერთი და იგივე იქნებოდა, განსაკუთრებულად  
მნიშვნელოვანია, რომ დანაშაულს დაერქვას  
თავისი სახელი და სახელმწიფომ ნებისმიერ პირს  
გაუგზავნოს გზავნილი, რომ გენდერული ნიშნით  
ჩადენილ დანაშაულს სახელმწიფო, პირველ რიგში,  
აღიარებს, ხოლო შემდეგ დასჯის. ამ კონკრეტული  
საქმის პრობლემაც ის არის, რომ მიუხედავად იმისა,  
რომ საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებები  
მიუთითებდნენ გენდერულ ნიშანზე, პროკურატურა  
მოერიდა ამ ნიშნის არსებობის აღიარებას. ნების-  
მიერ შემთხვევაში, პროკურატურამ პირის ბრალ-  
დების შესახებ დადგენილებაში სისხლის სამარ-  
თლის კოდექსის 115-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“  
ქვეპუნქტის გამოტოვებით, სასამართლოს მოუსპო  
შესაძლებლობა, ამ საქმეში გენდერული ნიშნის  
არსებობაზე ემსჯელა.

რადგანაც პირის ბრალდების შესახებ დადგენი-  
ლებაში არ იყო მითითება გენდერულ ნიშანზე,  
სასამართლო მოკლებული იყო შესაძლებლობას,  
ბრალდებულის საუარესოდ, ამ ნიშნის არსებობაზე  
ემსჯელა. ამის მიუხედავად, ახალციხის რაიონულმა  
სასამართლომ დაადგინა, რომ ქმედება, რამაც  
დაზარალებული თვითმკვლელობის ცდამდე მიიყ-  
ვანა, მოტივირებული იყო ეჭვიანობიდან მომდი-  
ნარე შურისძიების სურვილით. ცხადია, ამ მოტივზე  
მითითება არ იყო მაკვალიფიცირებელი. ამ გარემო-  
ებაზე მითითებამ მხოლოდ სასჯელი დაამძიმა:  
მსჯავრდებულს შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა  
5 წლის ვადით. თუმცა კიდევ ერთხელ უნდა  
აღინიშნოს, რომ გენდერული ნიშნით ჩადენილი  
დანაშაულის პრევენციისათვის არანაკლებ მნიშვნე-  
ლოვანია ამ ქმედების მოტივის გამოკვეთა, ვიდრე  
ამ მოტივით დანაშაულის ჩამდენი პირის მკაცრად  
დასჯა. იმის მიუხედავად, რომ ამ საქმეში ბრალდე-  
ბულს დაეკისრა საკმაოდ მკაცრი სასჯელი - ხუთი  
წლით თავისუფლების აღკვეთა, ეს არ ამცირებს  
პროკურატურისა და სასამართლოს მხრიდან დანა-  
შაულში გენდერული მოტივის აღიარების მნიშვნე-  
ლოვანობას.



## 4.5 ძალადობის წინარე ისტორიის გამოკვლევა

ფემიციდი და ფემიციდის მცდელობა ხშირად არის გენდერული უთანასწორობის და სისტემატური გენდერული ძალადობის კულმინაცია, შესაბამისად, დანაშაულის ფემიციდად ან ფემიციდის მცდელობად კვალიფიკაციის დროს, ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს იმის გამოკვლევას, განიცდიდა თუ არა მსხვერპლი დამნაშავის მხრიდან გენდერულ დისკრიმინაციას და ძალადობას მკვლელობის ჩადენამდე. ძალადობის წინა ისტორიის გამოკვლევა, მნიშვნელოვანია დანაშაულის მოტივის გამოსავლევად და სასჯელის შესაფარდებლად.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ანგარიშში გაანალიზებული ფემიციდის და ფემიციდის მცდელობის 10 საქმიდან ძალადობის თაობაზე წინარე მიმართვები იკვეთება 4 საქმეში.<sup>38</sup>

ოთხივე ამ საქმის შემთხვევაში გამოკვლეულია წინარე ისტორია. ერთი საქმე, რომელიც თბილისის საქალაქო სასამართლომ განიხილა, ქმრის მხრიდან სისტემატური შეურაცხყოფის გამო, ქალის თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანას ეხება.<sup>39</sup> ამ საქმეზე გამოძიებამ გამოითხოვა შემაკავებელი ორდერი. ის ასევე მიუთითებდა 2015 წელს ბრალდებულის მიერ დაზარალებულის მიმართ ფიზიკურ და სექსუალურ ძალადობაზეც. მეორე საქმე ეხებოდა წარსულში ოჯახური ძალადობისათვის ნასამართლევი პირის მიერ ცოლის სისტემატურ შეურაცხყოფას, რამაც ქალი თვითმკვლელობამდე მიიყვანა.<sup>40</sup>

კიდევ ერთი საქმე, სადაც გამოძიებამ გამოიკვლია ძალადობის წინა ისტორია, გორის რაიონულმა სასამართლომ განიხილა.<sup>41</sup> საქმე ეხება ავტომატის ტარით ცოლის მოკვლას. 2019 წლის 13 ოქტომბერს გამოძიებულმა ხაშურის რაიონული სამმართველოდან გამოითხოვა ინფორმაცია, დანაშაულის

ჩადენამდე ხომ არ იყო გამოწერილი ორდერი ბრალდებულის მიმართ. შინაგან საქმეთა სამინისტროს ხაშურის რაიონული სამმართველოს 2019 წლის 13 ოქტომბრის წერილობით პასუხში აღნიშნულია, რომ ბრალდებულის მიმართ შემაკავებელი ორდერი არ ყოფილა გამოწერილი. ამის მიუხედავად, ხაშურის რაიონულმა სამმართველომ საქმეს დაურთო სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ დადგენილება. ეს საქმე ეხებოდა ბრალდებულსა და დაზარალებულს შორის შელაპარაკებას, რის შემდეგაც ბრალდებულმა ხელით ჩაამსხვრია მინა, რომლის ნამსხვრევები მოვხდა დაზარალებულს, რის შედეგადაც მან მიიღო ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება. დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო, ამ საქმეზე შეწყდა გამოძიება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ განხილულ კიდევ ერთ საქმეში<sup>42</sup> ბრალდებული დანით შეეცადა ცოლის მოკვლას. ამ დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის ბრალდებული ნასამართლევი იყო ცოლის მიმართ მუქარასა (სისხლის სამართლის კოდექსის 11<sup>1</sup>-151 მუხლი) და სიდედრის მიმართ ძალადობაში (სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლი). ცოლის მიმართ წარსულში მუქარისათვის ნასამართლობის გამო, ბრალდებულის მკვლელობის მცდელობა 11<sup>1</sup>-19-109-3 მუხლის „ე“ ქვეპუნქტით (ოჯახის წევრის არაერთგზის მკვლელობის მცდელობა) დაკვალიფიცირდა. ამავე საქმეში გამოძიებამ გამოიკვლია ის გარემოება, რომ მკვლელობის მცდელობამდე ბრალდებულის მიმართ გამოწერილი იყო შემაკავებელი ორდერი.

სხვა საქმეებში გამოძიებლები დაზარალებულს ან დაზარალებულის ახლობლებს ეკითხებოდნენ ძალადობის წინა ისტორიის თაობაზე. მოწმეები გამოიკვლიეს, ფემიციდის ჩადენამდე, ბრალდებულის მხრიდან დაზარალებულზე რაიმე ძალადობის არსებობას<sup>43</sup> ან ადასტურებდნენ ამგვარი ძალადობის არსებობას, თუმცა აცხადებდნენ, რომ ბრალდებულის შიშით დაზარალებულები არ მიმართავდნენ სამართალდამცავ ორგანოებს.<sup>44</sup>

38 საქმეთა ნაწილში სახალხო დამცველს, ინდივიდუალური საქმისწარმოების ფარგლებში უკვე ჰქონდა მიღებული ინფორმაცია, ხოლო საქმეთა ნაწილზე დამატებით გამოვითხოვეთ: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილები: MIA 3 19 02777726, 18/10/2019; MIA 5 19 00638715 13/03/2019; MIA 9 20 02619149 06/11/2020; MIA 8 20 02457580, 16/10/2020; MIA 8 19 01247405, 15/05/2019; MIA 6 19 02523522, 23/09/2019.

39 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/4065-19.

40 ახალციხის რაიონული სასამართლოს საქმე №1/119-19.

41 გორის რაიონული სასამართლოს საქმე №1/71-20.

42 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1-4065-19.

43 გორის რაიონული სასამართლოს საქმე №1/352-19; რუსთავის საქალაქო სასამართლოს საქმე №1-133-19.

44 თბილისის საქალაქო სასამართლო საქმე №1/4127-19.

# 5. სასამართლო ეტაკზე გამოვლენილი ხარვეზები

## 5.1. ქმედების კვალიფიკაცია გენდერის ნიშნით და დანაშაულის ჩადენა ოჯახის წევრის მიმართ

წინა წლებთან შედარებით, საერთო სასამართლოები 2019 წელს აქტიურად იყენებენ სისხლის სამართლის კოდექსის 53<sup>1</sup> მუხლს ოჯახში ჩადენილი დანაშაულის საქმეებში სასჯელის მინიმალურ ზომაზე, სულ ცოტა, ერთი წლით გასამკაცრებლად. სასამართლოები სასჯელს უფრო იმის გამო ამკაცრებენ, რომ დანაშაული ჩადენილია ოჯახის წევრის მიმართ, ვიდრე იმის გამო, რომ დანაშაული გენდერული ნიშნით იქნა ჩადენილი.

იგივე შეიძლება ითქვას სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლზე. 2019 წელს სასამართლომ ორ საქმეზე დაადგინა გამამტყუნებელი განაჩენი სისხლის სამართლის კოდექსის 11<sup>1</sup>-109-2 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის (ოჯახის წევრი ქალის განზრახ მკვლელობა).<sup>45</sup> ერთ შემთხვევაში, სსკ-ის 11<sup>1</sup>-109-2 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტი გამოყენებული იქნა სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლთან ერთად (ოჯახის წევრის მკვლელობის მცდელობა).<sup>46</sup> სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (გენდერის ნიშნით განზრახ მკვლელობა) გამამტყუნებელი განაჩენი 2019 წელს არ დადგენილა, თუმცა პროკურატურას ჰქონდა წარუმატებელი მცდელობა, საქმე ამ მუხლით წაეღო სასამართლოში.

საერთო სასამართლოებში გაიზარდა სისხლის სამართლის კოდექსის 53<sup>1</sup> მუხლის გამოყენების შემთხვევები, თუმცა 2019 წელს მიიღეს ორი განაჩენი, სადაც დანაშაული ოჯახის წევრი ქალის მიმართ იყო

ჩადენილი, მაგრამ ამის მიუხედავად, დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ სასამართლოებმა სასჯელის მინიმალური ზომა გამოიყენეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ერთ-ერთი საქმე<sup>47</sup> ქმრის მიერ ცოლისათვის დანით მრავლობითი დაზიანების მიყენებას ეხებოდა. მოგვიანებით, ქმარმა დარეკა 112-ში, გამოიძახა სასწრაფო დახმარება და დროული სამედიცინო დახმარების აღმოჩენამ შესაძლებელი გახადა ცოლის სიცოცხლის გადარჩენა. 2019 წლის 5 სექტემბერს მიღებული პირის ბრალდების შესახებ დადგენილებით, ბრალდებულის ქმედება სისხლის სამართლის კოდექსის 11<sup>1</sup>-19-109-2ვ (ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის მიმართ განზრახ მკვლელობის მცდელობა) მუხლით დაკვალიფიცირდა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ ადგილი ჰქონდა დამთავრებული მცდელობის სტადიიდან დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებას. დანაშაულის ჩადენისაგან ხელის აღება მოხდა ნებაყოფლობით, ქმარი, ე.ბ. სახლში დაბრუნდა, შეეცოდა მეუღლე, სახლიდან გასულმა მოგონილი სახელით დარეკა 112-ის სამსახურში და ოპერატორს მიუთითა ადგილი, სადაც მისი მეუღლე იმყოფებოდა. ამგვარმა ნებაყოფლობითმა ქმედებამ შესაძლებელი გახადა მძიმე შედეგის - სიკვდილის თავიდან აცილება. 112-ში დარეკვის შემდეგ, დაზარალებულს აღმოუჩინეს სამედიცინო დახმარება, რის შედეგადაც მას სიცოცხლე შეუნარჩუნდა.

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების გამო, ე.ს.-ს ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს მის მიერ ფაქტობრივად ჩადენილი ქმედებიდან გამომდინარე. ასეთი კი იყო დაზარალებულის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება. თბილისის საქალაქო სასამართლომ უარი თქვა ე.ს.-ს ქმედების სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მე-3 ნაწილის

45 გორის რაიონული სასამართლოს საქმე №1/352-19; გორის რაიონული სასამართლოს საქმე №1/71-20.

46 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1-4065-19.

47 თბილისის საქალაქო სასამართლო საქმე №1/4127-19.

„ე“ ქვეპუნქტით კვალიფიკაციაზე (ოჯახის წევრის ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება). ამის მიზეზი ის იყო, რომ ეს ცვლილება სისხლის სამართლის კოდექსში შევიდა 2019 წლის 20 სექტემბერს, ხოლო დანაშაულებრივი ქმედება ჩადენილი იქნა 2019 წლის 28 ივლისს. სასამართლომ მკაცრი ნორმა ბრალდებულზე უკუძალით არ გაავრცელა.

სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ ე.ს.-ს საქმეში არ არსებობდა დამამძიმებელი გარემოებები, სამაგიეროდ, საქმეში არსებობდა პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები, რომლის მიხედვითაც, ე.ს. ინანიებდა ჩადენილ დანაშაულს, თანამშრომლობდა გამოძიებასთან, ხელს უწყობდა გამოძიებას მტკიცებულებების აღმოჩენა-დამაგრებაში, არ იყო წარსულში ნასამართლევ, ამიტომ მას დაენიშნა სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ყველაზე მსუბუქი სასჯელის ზომა - თავისუფლების აღკვეთა 3 წლამდე ვადით.

როგორც დანაშაულის ჩადენის, ისე სისხლის სამართლის საქმის განხილვისას, მოქმედებდა სისხლის სამართლის 53<sup>1</sup> მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილები, რაც სისხლის სამართლის კოდექსს 2018 წლის 30 ნოემბერს დაემატა. სისხლის სამართლის კოდექსის 53<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დანაშაულის ჩადენა ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებაა. სისხლის სამართლის კოდექსის 53<sup>1</sup> მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუკი დანაშაული ჩადენილია ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის მიმართ, ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას მოსახდელი სასჯელის ვადა სულ მცირე 1 წლით უნდა აღემატებოდეს ჩადენილი დანაშაულისათვის ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის მინიმალურ ვადას. ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუკი ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის მიმართ დანაშაულის ჩადენა მაკვალიფიცირებელი ნიშანია სისხლის სამართლის კერძო ნაწილში, სასამართლოს აღარ აქვს უფლება, ოჯახის წევრის მიმართ დანაშაულის ჩამდენ პირს სულ მცირე თავისუფლების აღკვეთის მინიმალურ ოდენობაზე ერთი წლით დაუმძიმოს სასჯელი.

თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულიად მართებულად უკუძალით არ გამოიყენა სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“

ქვეპუნქტი (ოჯახის წევრის ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება), რაც დანაშაულის ჩადენის მომენტში არ მოქმედებდა. ამის მიუხედავად, როგორც დანაშაულის ჩადენის, ისე სასამართლოში საქმის განხილვის მომენტში, მოქმედებდა სისხლის სამართლის კოდექსის 53<sup>1</sup> მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილები, რომელთა გამოყენების ვალდებულება და სასჯელის მინიმუმზე ერთი წლით დამძიმების ვალდებულება სასამართლოს გააჩნია, მაშინ როცა სისხლის სამართლის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლი არ ითვალისწინებს ოჯახის წევრის მიმართ ჩადენილ დანაშაულს როგორც მაკვალიფიცირებელ ნიშანს. სასამართლო ვალდებული იყო, სულ მცირე ერთი წლით დაემძიმებინა სასჯელი და მსჯავრდებულისათვის დაენიშნა არა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ამ დანაშაულისათვის სასჯელის მინიმალურ ოდენობას წარმოადგენს, არამედ 4 წლით თავისუფლების აღკვეთა.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ თავისი სააპელაციო საჩივრით არც პროკურატურას მოუთხოვია მსჯავრდებულისათვის სასამართლოს სასჯელის მინიმუმ ერთი წლით გამკაცრება. მართალია, პროკურორი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა ქმედების უფრო მკაცრი მუხლით - ოჯახის წევრის მკვლელობის მცდელობად (11<sup>1</sup>-19-109-2-ვ მუხლი) - კვალიფიკაციას, თუმცა არაფერი უშლიდა პროკურორს ხელს იმაში, რომ ალტერნატივის სახით, სასჯელის გამკაცრება მოეთხოვა იმ შემთხვევაში, თუ სააპელაციო სასამართლო ქმედებისათვის კვალიფიკაციის შეცვლაზე მის მოთხოვნას არ დააკმაყოფილებდა და ძალაში დატოვებდა ე.ს.-ს ქმედების კვალიფიკაციას სისხლის სამართლის კოდექსის 11<sup>1</sup>-117-ე მუხლის პირველი ნაწილით.

სააპელაციო სასამართლომ პროკურორის სააპელაციო საჩივარი არ დააკმაყოფილა და დაადგინა, რომ ე.ს.-ს ქმედება სწორად იყო დაკვალიფიცირებული სისხლის სამართლის კოდექსის 11<sup>1</sup>-117-ე მუხლის პირველი ნაწილით. თბილისის საქალაქო სასამართლომ დაინახა ამ საქმეში სისხლის სამართლის კოდექსის 53<sup>1</sup> მუხლის გამოყენების საფუძველი. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა თავისი 2020 წლის 25 თებერვლის განაჩენში მიუთითებს სისხლის სამართლის კოდექსის 53<sup>1</sup> მუხლზე.<sup>48</sup> ამასთან, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 25 თებერვლის განაჩენში აღნიშნულია:

48 განაჩენის მე-13 გვერდი.

„პალატა განმარტავს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 297-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, სააპელაციო საჩივარი განიხილება საჩივრისა და მისი შესაგებლის ფარგლებში. ვინაიდან მოცემულ საქმეზე განაჩენი ბრალდების მხარის მიერ გასაჩივრებულია მხოლოდ კვალიფიკაციის და არა სასჯელის ნაწილში, პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, ე.ს.-ს დამამძიმებელი გარემოების - ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ჩადენილი დანაშაულის მხედველობაში მიღებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53<sup>1</sup> მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, განუსაზღვროს უფრო მკაცრი სასჯელი“.<sup>49</sup>

ამგვარად, ამ საქმიდან იკვეთება, ერთი მხრივ, თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ ოჯახის წევრის მიმართ ჩადენილი დანაშაულის, როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოების, იგნორირება, ხოლო მეორე მხრივ, პროკურატურის უმოქმედობა, სააპელაციო გასაჩივრების გზით გამოესწორებინა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ, სასჯელის დანიშვნასთან დაკავშირებით დაშვებული შეცდომა. ამის შედეგად, მამაკაცს, რომელმაც ცოლს დანით მრავლობითი, მათ შორის, სიცოცხლისათვის სახიფათო დაზიანება მიყენა, დაენიშნა არაადეკვატურად ღმობიერი სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით, რაც სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის ყველაზე მინიმალური ზომაა.<sup>50</sup>

მეორე ასეთი საქმე განიხილა სიღნაღის რაიონულმა სასამართლომ. საქმე ეხებოდა მამაკაცის მიერ ლოგინს მიჯაჭვული 78 წლის დედის ცემას, რასაც ქალის გარდაცვალება მოჰყვა. ქმედება სისხლის სამართლის კოდექსის 11<sup>1</sup>-117-6-ე მუხლით დაკვალიფიცირდა (ოჯახის წევრის სხეულის განზრახ დაზიანება, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის, ჩადენილი დამნაშავესათვის წინასწარი შეცნობით უმწეო მდგომარეობაში მყოფის მიმართ, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა).

სიღნაღის რაიონულმა სასამართლომ, 2019 წლის 8 ოქტომბრის განაჩენით, გ.ქ. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში. სიღნაღის რაიონულმა სასამართლომ მიუთითა სისხლის სამართლის კოდექსის მე-11<sup>1</sup> მუხლზე და განაცხადა: „დადგენილია, რომ 2019 წლის 14 მარტს გ.ქ.-მ **ოჯახის წევრის**, უმწეო მდგომარეობაში მყოფი დედის მიმართ განახორციელა მართლსაწინააღმდეგო

ძალადობრივი ქმედება - ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება. ამდენად, სახეზეა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-11<sup>1</sup> 117-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობის ყველა ნიშანი“.

იმის მიუხედავად, რომ სასამართლომ უტყუარად დაადგინა, რომ ოჯახის ერთმა წევრმა მეორეს მიყენა ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, რამაც გაუფრთხილებლობით გამოიწვია სიკვდილი, სასამართლოს არ გამოუყენებია სისხლის სამართლის კოდექსის 53<sup>1</sup> მუხლის მეორე და მესამე ნაწილი, რაც მოსამართლისაგან ოჯახის წევრის მიერ ჩადენილი დანაშაულის დამამძიმებელ გარემოებად მიჩნევას და სანქციით გათვალისწინებულ მინიმალურ ზომებზე, სულ მცირე, ერთი წლით მეტი ხანგრძლივობის სასჯელის გამოყენებას ითხოვდა. სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მე-6 პუნქტი ძირითადი სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 8-დან 12 წლამდე. სიღნაღის რაიონულმა სასამართლომ, სისხლის სამართლის კოდექსის 53<sup>1</sup> მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილის მოთხოვნების მიუხედავად, მსჯავრდებულს სასჯელის მინიმუმი - 8 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა, მაშინ როდესაც, სსკ-ის 53<sup>1</sup> მუხლის იმპერატიული მოთხოვნა იყო, მინიმუმზე - რვა წლით თავისუფლების აღკვეთაზე - სულ მცირე, ერთი წლით მეტი სასჯელის - თავისუფლების აღკვეთა 9 წლის ვადით - დანიშვნა.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სიღნაღის რაიონულმა სასამართლომ გაითვალისწინა ბრალდებულის მიერ ბრალის აღიარების და გამოძიებასთან თანამშრომლობის გარემოება, ამიტომ მსჯავრდებულს რვა წლიდან ექვსი წელი განესაზღვრა პენიტენციურ დაწესებულებაში ფაქტობრივად მოსახდელად, ხოლო ორი წელი ჩაეთვალა პირობითად. სასამართლომ პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებთან დაკავშირებით, განაცხადა: „სასამართლო მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ ბრალდებული აღიარებს და ინანიებს ჩადენილ დანაშაულს, იგი ნასამართლობის არმქონეა, გამოძიების დაწყების დღიდან თანამშრომლობდა გამოძიებასთან, ხელი შეუწყო ქეშმარიტების დადგენას. რაც შეეხება დამამძიმებელ გარემოებას, ბრალდებულის მიერ ჩადენილი განზრახი ძალადობრივი დანაშაულებრივი ქმედება მიმართულია ჯანმრთელობის წინააღმდეგ, რასაც მოჰყვა დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა. ამასთან, მის მიერ ჩადენილია ქმედება ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში, რამაც

49 თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 25 თებერვლის განაჩენის მე-13 გვერდი.

50 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/4127-19.



გამოიწვია ბრალდებულის ქმედებების უმართაობა, რასაც მოჰყვა ისეთი სავალალო შედეგი, როგორიცაა დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა“.

ამგვარად, ის გარემოება, რომ დანაშაული ოჯახის წევრმა ჩაიდინა, მოხსენიებული არ ყოფილა პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებათა ნუსხაში. სასამართლოს მიერ ამ გარემოების იგნორირებამ გამოიწვია ღმობიერი სასჯელის - 8 წლით თავისუფლების აღკვეთის გამოყენება, მაშინ როდესაც, სისხლის სამართლის კოდექსის 53<sup>1</sup> მუხლის მე-3 ნაწილით, ოჯახური დანაშაულის ჩამდენ პირს მინიმუმზე სულ მცირე ერთი წლით მეტი სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა 9 წლამდე - უნდა დაკისრებოდა, თუნდაც არსებულიყო ისეთი შემამსუბუქებელი გარემოება, როგორიცაა ბრალის აღიარება და გამოძიებასთან თანამშრომლობა. სასამართლოს შეეძლო ბრალის აღიარების შემამსუბუქებელი გარემოების საფუძველზე, სასჯელის ნაწილი ჩაეთვალა პირობითად, მას შემდეგ, რაც სისხლის სამართლის კოდექსის 53<sup>1</sup> მუხლის მე-3 ნაწილით, მსჯავრდებულს დაუნიშნავდა სასჯელის მინიმალურ ზომაზე ერთი წლით მეტ სასჯელს - თავისუფლების აღკვეთას 9 წლის ვადით. ამის მიუხედავად, სიღნაღის რაიონულმა სასამართლომ სწორედ სასჯელის მინიმალური ზომა - 8 წლით თავისუფლების აღკვეთა დანიშნა, საიდანაც 2 წელი მსჯავრდებულს ჩაეთვალა პირობითად. ამით სასამართლომ გვერდი აუარა სისხლის სამართლის კოდექსის 53<sup>1</sup> მუხლის მეორე და მესამე ნაწილის მოთხოვნებს, რამაც უმწეო მდგომარეობაში მყოფი დედის მიმართ დანაშაულის ჩამდენი პირისათვის შეუსაბამოდ ღმობიერი სასჯელის დანიშვნა განაპირობა.

დამატებით, როგორ უკვე აღინიშნა, სასამართლოები ადვილად ახერხებენ ქმედების კვალიფიკაციას სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მეორე ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით (ოჯახის წევრის მკვლელობა), იმავეს ვერ ვიტყვით სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ<sup>1</sup>“ ქვეპუნქტზე (განზრახ მკვლელობა გენდერის ნიშნით). საანგარიშო პერიოდში მხოლოდ ერთხელ მოახდინა პროკურატურამ ქმედების კვალიფიკაცია სისხლის სამართლის კოდექსის 19-109-2 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტით (მკვლელობის მცდელობა გენდერის ნიშნით), თუმცა ამ ნაწილში ბრალდებული თბილისის სააპელაციო სასამართლომ უდანაშაულოდ ცნო.<sup>51</sup>

ეს საქმე ქმრის მიერ ყოფილ ცოლსა და სიდედრზე სისტემატურ ძალადობას ეხებოდა. ძალადობის მიზეზი იყო განქორწინება. 2019 წლის 10 თებერვალს ბრალდებული ლ.მ. დათვრა და სახლში მიუვარდა

თავის ყოფილ სიდედრს და უთანხმოება მოუვიდა თავის ვაჟიშვილთან. ბრალდებულმა ამის შემდეგ მინა ჩალუნა და სიდედრის საცხოვრებელი სახლი დატოვა. იმავე დღეს გამოიძახეს პოლიცია. მოძალადეს მეორე დღეს გამოუწერეს შემაკავებელი ორდერი.

2019 წლის 11 თებერვალს პოლიციის გამოძახების ფაქტით განაწყენებული ლ.მ. თავის ყოფილ ცოლს ნ.პ.-ს, დანით მიადგა სამსახურში. ყოფილმა ქმარმა ცოლი დანის მუქარით ჩაისვა მანქანაში. ნ.პ. მალევე გადმოხტა მანქანიდან და გაიქცა. ლ.მ. დაენია ყოფილ ცოლს და გულმკერდის არემი მიაყენა სიცოცხლისათვის საშიში დაზიანება. ამ საქმეში პროკურატურამ პირველად გამოიყენა სისხლის სამართლის კოდექსის 19-109-2 მუხლის „დ<sup>1</sup>“ ქვეპუნქტი (განზრახ მკვლელობის მცდელობა გენდერის ნიშნით). თბილისის საქალაქო სასამართლომ უდანაშაულოდ ცნო ბრალდებული გენდერის ნიშნით მკვლელობის მცდელობაში. თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2020 წლის 10 მარტის განაჩენით ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი გენდერის ნიშნით მკვლელობის მცდელობაში მსჯავრდებულის გამართლების ნაწილში.

სააპელაციო სასამართლომ ამ საქმეში გენდერის ნიშნის ვიწრო განმარტება შემოგვთავაზა, რომლის მიხედვითაც, დანაშაული მოტივირებულია გენდერის ნიშნით, თუკი ადამიანს იმის გამო კლავენ, რომ ქალია. სასამართლოს თქმით, მოცემულ შემთხვევაში მკვლელობის მცდელობა მოტივირებული იყო შურისძიებით (დაზარალებულმა წინა დღით ბრალდებულის მიმართ შემაკავებელი ორდერი გამოაწერინა პოლიციას) და არა იმით, რომ დაზარალებული ქალი იყო. სააპელაციო სასამართლომ კატეგორიულად გამორიცხა, რომ გენდერული ნიშანი მოიცავს ქალის მიმართ შურისძიებით ან ეჭვიანობის მოტივით ჩადენილ დანაშაულს.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ განაცხადა: „რაც შეეხება გენდერის ნიშნით მკვლელობის დროს ქმედების განმსაზღვრელი მოტივი მსხვერპლის გენდერული კუთვნილებაა. შესაბამისად, დამნაშავის სპეციალური მიზანი და სურვილი სწორედ ამ ნიშნით, გენდერული იდენტობით მკვლელობის განხორციელებაა. ამასთან, ქმედების სწორი კვალიფიკაციისათვის მნიშვნელოვანია გაიმიჯნოს სხვა პირადი მოტივებისაგან (შურისძიება, ეჭვიანობა და ა.შ.), ვინაიდან, რიგ შემთხვევებში, ამგვარი მოტივების არსებობა მთლიანად გამორიცხავს გენდერის ნიშანს“.

51 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №21-4065-19.



თბილისის სააპელაციო სასამართლომ ასევე განაცხადა: „პირველი ინსტანციის სასამართლოში გამოკვლეული მტკიცებულებებით გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით არ დადასტურდა, რომ მკვლელობის მცდელობა სწორედ გენდერის ნიშნით განხორციელდა. აღსანიშნავია, რომ დაზარალებული უარყოფს მასსა და ბრალდებულს შორის გენდერის ნიშნით კონფლიქტს. პარალელურად კი, საქმეში გამოკვეთილია შურისძიების მოტივი და ბრალდებულის განაწყენება იმ ფაქტით, რომ მისი აზრით, დაზარალებულმა შეატყობინა პოლიციას 2019 წლის 10 თებერვალს მეუღლის ბინაში მისვლის და შვილთან მომხდარი კონფლიქტის შესახებ.

დანაშაულის დამამძიმებელი ნიშნით კვალიფიკაციის დროს აუცილებელია დადგინდეს, რომ პირს შეცნობილი ჰქონდა ამგვარი მაკვალიფიცირებელი ნიშანი და აღნიშნულს მოიცავდა მისი განზრახვა. მოცემულ შემთხვევაში კი, დანაშაულის ჩადენისას ბრალდებულის კონკრეტული დამოკიდებულება დაზარალებულისადმი არ გულისხმობს ქალის განზრახ მკვლელობის სურვილს, **იმის გამო, რომ იგი ქალია**. ამდენად პალატა თვლის, რომ ლ.მ.-ს განზრახ მკვლელობის მცდელობაში, გენდერის ნიშნით, დანაშაულში, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, ცნობილ უნდა იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს“.

ამგვარად, სამხუხაროდ, სააპელაციო სასამართლომ მნიშვნელოვნად დაავიწროვა ტერმინის „გენდერის ნიშანი“, შინაარსი და მასში მხოლოდ ისეთი მოტივი მოიაზრა, როცა ქალს კლავენ იმის გამო, რომ ქალია. ამასთან, გენდერის ნიშნად არც შურისძიების მოტივით მკვლელობა მიიჩნია, როცა ქალი უარს აცხადებს ყოფილ ქმართან თანაცხოვრებაზე და იყენებს სამართლებრივ ღონისძიებებს მისი მხრიდან მომდინარე ძალადობის აღსაკვეთად. სასამართლომ გენდერის ნიშნიდან ასევე გამორიცხა ეჭვიანობა, რაც ფემიციდის კლასიკური მოტივია, ვინაიდან ქალის მიმართ მამაკაცის მესაკუთრულ დამოკიდებულებაზე მიუთითებს. გენდერის ნიშნის ამგვარი ვიწრო განმარტება ქმნის იმის საფრთხეს, რომ მომავალში სათანადო კვალიფიკაციის გარეშე დარჩეს ფემიციდის და ფემიციდის მცდელობის მთელი რიგი დანაშაულებრივი ფაქტები.

## 5.2. ალკვეთის ღონისძიების გამოყენება

2019 წელს პოზიტიური ტენდენციის სახით უნდა აღინიშნოს, რომ პროკურატურა ყველა სისხლის სამართლის საქმეზე მოითხოვდა ალკვეთის ღონისძიების სახით ბრალდებულის მიმართ პატიმ-

რობის გამოყენებას. საერთო სასამართლოებმა, საბოლოო ჯამში, ყველა საქმეზე დააკმაყოფილეს პროკურატურის ეს მოთხოვნა. წინასასამართლო სხდომის ჩატარების ვადის გაგრძელების შემთხვევაშიც, სასამართლოები აგრძელებდნენ ალკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული პატიმრობის ვადას.

ალკვეთის ღონისძიების სახით გირაოს გამოყენებით, გარკვეული გამოწვევის იყო რუსთავის საქალაქო სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე გარდაბნის მუნიციპალიტეტში. ამ უკანასკნელმა შვილის დედის დანით დაჭრის საქმეში,<sup>52</sup> ბრალდებულს შეუფარდა გირაო 4 000 ლარის ოდენობით, იმის მიუხედავად, რომ ამ საქმეში პროკურატურა ბრალდებულის მიმართ პატიმრობის გამოყენებას ითხოვდა. ამის მიზეზად მაგისტრატმა მოსამართლემ დაასახელა ბრალდებულსა და დაზარალებულს შორის არსებული ძალადობის წინაისტორიის დამადასტურებელი მტკიცებულების წარუდგენლობა. მაგისტრატი მოსამართლის 2019 წლის 11 იანვარის განჩინებაში აღნიშნულია: „ვ.ბ.-მ დედის მიმართ განხორციელა განზრახ ძალადობრივი, მძიმე სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობა, თუმცა საქმეში არ არის წარმოდგენილი დაზარალებულის გამოკითხვის ოქმი. სასამართლოსათვის ასევე უცნობია ბრალდებულსა და დაზარალებულს შორის მანამდე რა ურთიერთობა არსებობდა, ეს პირველი შემთხვევა იყო თუ განმეორებითი. შესაბამისად, სასამართლო ვერ გაიზიარებს ბრალდების მხარის მოსაზრებას, რომ ბრალდებულის მხრიდან არსებობს ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე“.

იმის გამო, რომ პროკურატურამ ბრალდებულსა და დაზარალებულს შორის არსებული ძალადობის წინაისტორია არ წარადგინა, რუსთავის საქალაქო სასამართლოს მაგისტრატმა მოსამართლემ გარდაბნის მუნიციპალიტეტში, მიიჩნია, რომ მონმეებზე ზემოქმედების და მტკიცებულებათა განადგურების საფრთხის აღმოფხვრას გირაო უზრუნველყოფდა. შესაბამისად, ბრალდებულს შეუფარდა გირაო 4 000 ლარის ოდენობით. გირაოს თანხის შეტანის ვადად 20 დღე განისაზღვრა. გირაოს უზრუნველყოფის მიზნით, თანხის შეტანამდე ბრალდებული პატიმრობაში დარჩა.

მაგისტრატი მოსამართლის განჩინება, 2019 წლის 12 იანვარს, პროკურატურამ თბილისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა. პროკურორმა საჩივარში მიუთითა, რომ ბრალდებულის ძმას და რძალს, რომლებმაც გამოკითხვაში ბრალდებულის მაინკრიმინირებელი ინფორმაცია მიანოდეს გამოძიებას, ბრალდებულისაგან საფრთხე ემუქრებოდათ. მაგისტრატ მოსამართლეს ეს გარემოება არ გაუთვალისწინებია, როდესაც ბრალდებული, ოჯახში ძალადობის საქმეზე, თავისუფლებაში დატოვა. ამასთან, ბრალდების მხარემ სააპელაციო სასამართლოს

52 რუსთავის საქალაქო სასამართლოს საქმე №1-133-19.

წარუდგინა დაზარალებულის გამოკითხვის ოქმი, რაც ხელმისაწვდომი არ იყო მაგისტრეტი მოსამართლისათვის ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მაგისტრეტი მოსამართლის დასკვნები იმის შესახებ, რომ არ დასტურდებოდა, დედასა და შვილს შორის ეს პირველი შემთხვევა იყო თუ განმეორებითი. პირველი ინსტანციის სასამართლოს ჰქონდა ბრალდებულის ძმის და რძლის გამოკითხვის ოქმები, რაც ბრალდებულს ამხელდა დანაშაულის ჩადენაში, აღნიშნული სააპელაციო სასამართლოს თქმით, საკმარისი უნდა ყოფილიყო ბრალდებულის მიმართ პატიმრობის გამოსაყენებლად. სააპელაციო სასამართლომ განჩინებაში ყურადღება გაამახვილა ოჯახში ძალადობის სპეციფიკაზე, განმეორებითი ძალადობის რისკებზე და ბრალდებულს ალკვეთი ღონისძიების სახით შეფარდებული გირაო პატიმრობით შეუცვალა.

ეს საქმე ნათლად მეტყველებს იმაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, პროკურატურის მიერ დანაშაულის წინასტორიის შესახებ სათანადო მტკიცებულებების დროული შეკრება და სასამართლოსათვის წარდგენა, მეორე მხრივ, სასამართლოების მიერ იმის გაცნობიერება, რომ ფემიციდის მცდელობა არის ოჯახში მანამდე არსებული ძალადობრივი ქმედებების კულმინაცია და მას აუცილებლად უძღვის წინ სხვა ძალადობრივი ქმედებები.

### 5.3. სასჯელის დანიშნისას სასამართლოს მიერ მხედველობაში მიღებული გარემოებები

2019 წელს სასჯელის დანიშნისას საერთო სასამართლოები აქტიურად იყენებდნენ სისხლის სამართლის კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილს, სადაც აღნიშნულია: „გადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშნისას სასამართლო უფლებამოსილია, განაჩენით დაადგინოს სასჯელის ნაწილის მოხდა, ხოლო დანარჩენი ნაწილის პირობით მსჯავრად ჩათვლა, თუ ბრალდებული (მსჯავრდებული) აღიარებს დანაშაულს (თუ პირს არ წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე), ასახელებს დანაშაულის ჩადენაში თანამონაწილეებს და თანამშრომლობს გამოძიებასთან. საპროცესო შეთანხმების დადების გარდა, თუ ჩადენილია განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, პირობით მსჯავრად შეიძლება ჩაითვალოს დანიშნული სასჯელის ერთი მეოთხედი, მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში – სასჯელის

ერთი მესამედი, ხოლო ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში – სასჯელის ნახევარი“.

გამოძიებასთან თანამშრომლობის გამო, სასამართლომ 10-დან 3 საქმეში ბრალდებულის მიმართ გამოიყენა სისხლის სამართლის კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის შეღავათი: მსჯავრდებული სასჯელის ნახევრის მოსახდელად გაამწესა პენიტენციურ დაწესებულებაში, ხოლო სასჯელის ნახევარი ჩაუთვალა პირობითად.

გორის რაიონულ სასამართლოს სისხლის სამართლის კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილით დადგენილი შეღავათი არ გამოიყენებია ხაშურში მომხდარი ცოლის მკვლელობის ორ საქმეში. ბრალდებულებმა ორივე საქმეში ითანამშრომლეს გამოძიებასთან, რამაც უდავო გახადა ბრალდების მხარის მიერ მოპოვებული მტკიცებულებები, თუმცა ამავე დროს, ორივე საქმეში იკვეთებოდა დამამძიმებელი გარემოებები, კერძოდ, ერთ შემთხვევაში, ცოლისათვის ფრჩხილის მკვლევარის ჩარტყმისას, ბრალდებული ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა, რაც პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად იქნა მიჩნეული. გარდა ამისა, გორის რაიონულმა და თბილისის სააპელაციო სასამართლოებმა მხედველობაში მიიღეს მსჯავრდებულის ქცევა დანაშაულის ჩადენის შემდეგ, მსჯავრდებულმა სისხლის გუბეში, უგონოდ მყოფი მეუღლე მიატოვა და ალკოჰოლური სასმელის მიღება განაგრძო.

გორის რაიონულ სასამართლოს სისხლის სამართლის კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილი ხაშურში მომხდარი არც მეორე მკვლელობის საქმეზე გამოიყენებია. ამ საქმეში სასამართლომ მხედველობაში მიიღო დამამძიმებელი გარემოებები, კერძოდ, ის, რომ მსჯავრდებულმა დაზარალებულს ხალხმრავალ ადგილას, ცეცხლსასროლი იარაღი და ხელყუმბარა ესროლა, რაც საფრთხეს სხვებსაც უქმნიდა. ამ გარემოების გამო, სასამართლო მოერიდა, თავისუფლების აღკვეთა პირობითად ჩაეთვალა.

ამ ეტაპზე, გორის რაიონული სასამართლოს მიერ, ზემოხსენებულ საქმეზე დანიშნული 20 წლით თავისუფლების აღკვეთა, ფემიციდისათვის 2019 წელს დანიშნული ყველაზე მკაცრი სასჯელია. ყველაზე მსუბუქი სასჯელი ფემიციდისათვის დანიშნა სიღნაღის რაიონულმა სასამართლომ - 8 წელი, საიდანაც მსჯავრდებულს 2 წელი ჩაეთვალა პირობითად. ყველაზე მკაცრი სასჯელი ფემიციდის მცდელობისათვის დანიშნა თბილისის საქალაქო სასამართლომ და ეს იყო თავისუფლების აღკვეთა 18 წლის ვადით.<sup>53</sup> ყველაზე მსუბუქი სასჯელი ფემიციდის მცდელობისათვის დანიშნა თბილისის საქალაქო სასამართლომ - 3 წლით თავისუფლების აღკვეთა.<sup>54</sup>

53 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №21-4791-19.  
54 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №21/4127-19.

## 6. სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ განჩინებების ანალიზი

საქართველოს გენერალური პროკურატურიდან მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე,<sup>55</sup> საქართველოს სახალხო დამცველმა 6 საქმეზე გამოითხოვა სასამართლოს განჩინებები სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ. 6-ვე შემთხვევაში, სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის მიზეზი იყო შეურაცხადობა.

სახალხო დამცველი სიფრთხილით ეკიდება იმ შემთხვევების ფემიციდად ან ფემიციდის მცდელობად დაკვალიფიცირებას, რომლებიც ჩადენილია ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირების მიერ, შეურაცხადობის მდგომარეობაში. ამის მიზეზი იმ გარემოების დადგენის სირთულეა, რამდენად აღიქვამენ ეს პირები გენდერის კონცეფციას.

დამატებით, აღსანიშნავია, რომ მოწოდებული განჩინებები სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის და იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობის დაწესების შესახებ, ზოგჯერ თითქმის არანაირ მითითებას არ შეიცავენ საქმის ფაქტობრივი გარე-

მოების თაობაზე. კერძოდ, ასეთ განჩინებებში არ გვხვდება მითითება, რა ფაქტობრივ გარემოებებში შეეცადა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი ქალის მოკვლას, ან რა გარემოებებში მოკლეს ქალი. ზოგიერთ განჩინებაში მითითებულია, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი ქალს შურისძიების გამო დაესხა თავს, თუმცა არ არის ახსნილი, რის გამო აპირებდა თავდამსხმელი ქალზე შურისძიებას.<sup>56</sup> სხვა საქმეში მითითებულია, რომ თავდამსხმელმა მოკლა ან შეეცადა მოეკლა ოჯახის წევრი, თუმცა სასამართლოს განჩინება არც სიცოცხლის მოსპობის მოტივებზე საუბრობს.<sup>57</sup>

შედარებით მეტი ინფორმაციული ღირებულება აქვს, მაგალითად, რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 23 აპრილის განჩინებას, სადაც აღნიშნულია, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირმა საკუთარი ცოლი, ეჭვიანობის ნიადაგზე, ქამრით დაახრჩო. ამ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენი პირის შეურაცხადობის შემთხვევაში, ეს დანაშაული ფემიციდი იქნებოდა.<sup>58</sup>

55 №13/34799, 29/ივნისი/2020 წ.; №13/55730 25/სექტემბერი/2020 წ.

56 გორის რაიონული სასამართლოს საქმე №10/329-19.

57 გორის რაიონული სასამართლოს საქმე №1/501-19; თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №604/6306-1.

58 რუსთავის საქალაქო სასამართლოს საქმე №1-984-19.

# დასკვნა

2019 წელს მომხდარი ფემიციდისა და ფემიციდის მცდელობის საქმეთა ანალიზი აჩვენებს, რომ ფემიციდთან ბრძოლისა და ფემიციდის საქმეებზე მართლმსაჯულების აღსრულების მიმართულებით, კვლავ ბევრი გამოწვევა რჩება. სამწუხაროდ, გაანალიზებული 10 საქმიდან 9 შემთხვევაში, გამოძიების თუ სასამართლო განხილვის ეტაპზე, სხვადასხვა სახის ხარვეზები იკვეთება, და ამ მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ ერთი საქმეა გამონაკლისი.

გამოძიების ეტაპზე გამოვლენილი ხარვეზებიდან, აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ შემთხვევაში პრობლემა იყო დაზარალებულად/დაზარალებულის უფლებამონაცვლედ დროულად ცნობა. გამოძიების ეტაპზე გამოვლინდა მსხვერპლის მიმართ სტერეოტიპული დამოკიდებულება და მისი პირადი, სექსუალური ცხოვრებით დაინტერესება, მაშინ, როცა ამას არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონია საქმის გარემოებების დასადგენად. გამოვლინდა მტკიცებულების შეგროვების პრობლემა, რამაც საბოლოოდ გავლენა მოახდინა ქმედების კვალიფიკაციაზე და სასამართლოს მიერ შედარებით მსუბუქი მუხლით ბრალდებულის დამნაშავედ ცნობაზე. ასევე, პრობლემა გამოიკვეთა გენდერული ნიშნით მოტივირებული დანაშაულის სახელდების მიმართულებითაც.

მისასალმებელია რომ გამოძიება იკვლევდა ძალადობის წინარე ისტორიას და ამ მხრივ საქმეთა ანალიზისას პრობლემა არ გამოვლენილა. გაანალიზებულ საქმეებს შორის გვხვდება ისეთი საქმეებიც, სადაც სისტემატური ძალადობის მიუხედავად, დაზარალებულს არ მიუმართავს სამართალდამცავი უწყებისთვის. სამწუხაროდ, კვლავ არის შემთხვევები, როდესაც მსხვერპლის მიერ ძალადობის შესახებ პოლიციაში გაცხადების მიუხედა-

ვად, მაინც ვერ ხერხდება ძალადობის უკიდურესი ფორმის თავიდან აცილება. ფემიციდის თავიდან აცილება არც იმ საქმეში მოხერხდა, სადაც პირი ოჯახური დანაშაულის გამო სასჯელაღსრულების დაწესებულებაში იხდიდა სასჯელს. აღნიშნული კიდევ ერთხელ მიუთითებს მოძალადეთა ქცევის კორექციის მიმართულებით მუშაობის გაძლიერების საჭიროებაზე.

საგანგაშოდ შეიძლება ჩაითვალოს ფემიციდის მცდელობის საქმეში, პატიმრობის შუამდგომლობის მიუხედავად, სასამართლოს მიერ აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს გამოყენება. ამ საქმეში გამოვლინდა მაგისტრალი სასამართლოს მიერ იმის გაცნობიერების პრობლემა, რომ ფემიციდის მცდელობა არის ოჯახში მანამდე არსებული ძალადობრივი ქმედებების კულმინაცია და მას აუცილებლად უძღვის წინ სხვა ძალადობრივი ქმედებები. მნიშვნელოვანია, რომ ეს ხარვეზი ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს განჩინებით აღმოიფხვრა.

კვლავ რჩება სასამართლოების მიერ ტერმინის, „გენდერის ნიშნით“, ჩადენილი დანაშაულის ადეკვატურად აღქმის პრობლემა. სასამართლო პრაქტიკაში ფემიციდის დანაშაულთან დაკავშირებით, უფრო გამოიყენება და ადვილად აღიქმება სიტყვები - „ოჯახის წევრი“, ვიდრე გენდერის ნიშანზე მითითება. ამის მიუხედავად, იყო ორი საქმე, როცა სასამართლოს არ დაუმძიმებია სასჯელი მინიმუმზე სულ მცირე ერთი წლით, იმის მიუხედავად, რომ ფემიციდის მცდელობა, აშკარად ოჯახის წევრის მიმართ იყო ჩადენილი. გარდა ამისა, არც თავად პროკურატურას გაუსაჩივრებია განაჩენი სასჯელის დამძიმების მიზნით, სწორედ იმიტომ, რომ დანაშაული ოჯახის წევრის მიმართ იყო ჩადენილი.



# რეკომენდაციები

## საქართველოს მთავრობას:

- ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის 30-ე მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შესაბამისად, შემუშავდეს დროული, ადეკვატური და ეფექტიანი კომპენსაციის გაცემის წესი.

## გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიას:

- შეიქმნას სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომელიც კრიტიკულად გააანალიზებს პრევენციის არსებულ სისტემას ქალთა გენდერულად მოტივირებული მკვლელობის და მკვლელობის მცდელობის საქმეებთან დაკავშირებით და საკვანძო უწყებების, მათ შორის, ჯანდაცვისა და განათლების სამინისტროების მონაწილეობით, იმუშავებს კონკრეტულად ფემიციდის პრევენციის სისტემის შექმნასა და დახვეწაზე.

## იუსტიციის უმაღლეს სკოლას:

- სისხლის სამართლის სპეციალიზაციის მოსამართლეები გადამზადდნენ გენდერის ნიშნით ჩადენილი დანაშაულების გამოკვეთის საკითხზე, სისხლის სამართლის კოდექსის 53<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილით და 109-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ქმედებებთან დაკავშირებით.

## საქართველოს უზენაეს სასამართლოს:

- დასაშვებად ცნოს და განიხილოს ისეთი საკასაციო საჩივრები, რომლებიც დაკავშირებულია სისხლის სამართლის კოდექსის 53<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილით და 109-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „გენდერის ნიშნით“ ჩადენილი დანაშაულების განმარტებასთან, რათა ხელი შეუწყოს ამგვარი დანაშაულების ერთგვაროვანი განმარტების პრაქტიკის ჩამოყალიბებას, შეცვალოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ 2020 წლის 10 მარტის განაჩენით დადგენილი პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც, ეჭვიანობის და შურისძიების მოტივით ჩადენილი მკვლელობის მცდელობა არ არის მიჩნეული „გენდერის ნიშნით“ ჩადენილ დანაშაულად;
- შეიმუშაოს ფემიციდის და ფემიციდის მცდელობის საქმეთა გამოკვეთის მეთოდი, რომლითაც იხელმძღვანელებენ საერთო სასამართლოებიც, და აწარმოოს ზუსტი სტატისტიკა.

## საერთო სასამართლოებს:

- როდესაც ოჯახის წევრის მიმართ ჩადენილი დანაშაული არ არის ქმედების მაკვალიფიცირებელი გარემოება, არ დაუნიშნოს მსჯავრდებულს სასჯელის მინიმალური ოდენობა და სასჯელი დაამძიმოს სულ მცირე ერთი წლით, სისხლის სამართლის კოდექსის 53<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად;
- მოსამართლემ განაჩენში დეტალურად დაასაბუთოს, თუ რაში გამოიხატება დანაშაულში გენდერული მოტივის არსებობა და დანაშაულის გენდერული ნიშნით ჩადენა;
- მოსამართლეებმა აღკვეთის ღონისძიების შერჩევასა გაითვალისწინონ, რომ ფემიციდი ან ფემიციდის მცდელობა, უმეტესად, არის კულმინაცია, რასაც წინ შეიძლება უძლოდეს ძალადობრივი ქმედებების მთელი ჯაჭვი. ამ გარემოების გათვალისწინებით შეფასდეს მოწმეებზე ზემოქმედების და დანაშაულის განმეორების საფრთხეები;
- სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის და იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობის დაწესების შესახებ განჩინებებში, მიეთითოს მეტი ინფორმაცია საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესახებ. კერძოდ, რა ფაქტობრივი გარემოებებში შეეცადა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი მოეკლა ქალი, ან რა გარემოებებში მოკლეს ქალი.

### საქართველოს გენერალურ პროკურატურას:

- უზრუნველყოს დაზარალებულის/დაზარალებულის უფლებამონაცვლის სტატუსის დროული მინიჭება იქ, სადაც ეს ჯერ კიდევ პრობლემაა;
- ქმედების კვალიფიკაცია მოახდინოს გენდერის ნიშნით, როცა დანაშაულის მოტივია ქალის ქმედების კონტროლი და მისთვის „შეუფერებელი“ საქციელი;
- უზრუნველყოს დაზარალებულის მიერ წარმოდგენილი ყველა ვერსიის გადამოწმება, სათანადო საგამოძიებო მოქმედების, მათ შორის დაზარალებულის დამატებითი გამოკითხვის გზით, განსაკუთრებით მაშინ, როცა ამგვარმა დამატებითმა გამოკითხვამ, დამაზუსტებელი კითხვების დასმამ, შესაძლოა ისეთი მტკიცებულების მოპოვება გახადოს შესაძლებელი, რაც გავლენას მოახდენს ქმედების კვალიფიკაციის შეცვლაზე;
- იმ შემთხვევაში, როდესაც ქვემდგომი სასამართლო არ იყენებს სისხლის სამართლის კოდექსის 53<sup>1</sup> მუხლს, მაშინ როცა ამისათვის ყველა წინაპირობა არსებობს, პროკურატურამ, სასჯელის დამძიმების მიზნით, სასამართლოს განაჩენები ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში გაასაჩივროს;
- დროულად შეისწავლოს და აღკვეთის ღონისძიების შერჩევასას სასამართლოს წარუდგინოს დაზარალებულსა და ბრალდებულს შორის ძალადობის წინაისტორიის დამადასტურებელი მტკიცებულებები.

### საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს:

- გამომძიებლებმა თავი შეიკავონ დაზარალებულის ინტიმური ცხოვრების დეტალების მესამე პირებთან, განსაკუთრებით, არასრულწლოვნებთან გადამოწმებისაგან, როდესაც ეს არ არის კრიტიკულად აუცილებელი ქმედების სწორი სამართლებრივი კვალიფიკაციისათვის;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოებში გაგრძელდეს თანამშრომლების გადამზადება ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის საკითხებთან დაკავშირებით. ამასთან, შემუშავდეს ტრენინგის შემდგომი შეფასების დოკუმენტი, რაც შესაძლებელს გახდის გადამზადებულ თანამშრომელთა მიერ მიღწეული პროგრესის გაზომვას;
- ძალადობის მსხვერპლთა ეფექტიანად დასაცავად დასახმარებლად, განისაზღვროს გამომძიებელთა სპეციალიზაციის წესი ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის საქმეებზე.

# დანართი 1: საქართველოს გენერალური პროკურატურის სტატისტიკა

საქართველოს გენერალური პროკურატურის მონაცემებით<sup>59</sup>, 2019 წელს **ოჯახური დანაშაულის ნიშნით** 9 პირის მიერ ჩადენილია 8 ქალის **მკვლელობა**. ყველა ფაქტს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ტერიტორიული დანაყოფები იძიებდნენ.

ამ 9 პირიდან სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 7 პირის მიმართ. აქედან, 6 შემთხვევაში, სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო სსკ-ის 11<sup>1</sup>-109 მუხლით, 1 შემთხვევაში - სსკ-ის 11<sup>1</sup>-117 მუხლით, ხოლო 2 პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაწყებულა დანაშაულის ჩამდენი პირის გარდაცვალების გამო. გენდერული ნიშნით ძალადობა არცერთ შემთხვევაში არ გამოკვეთილა. აღსანიშნავია, რომ 1 ქალის განზრახ მკვლელობისათვის სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 2 პირის მიმართ.

2019 წელს, ოჯახური დანაშაულის ნიშნით ჩადენილი ქალის მკვლელობის ფაქტზე, 2020 წელს სასამართლოს განჩინებით სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა 1 პირის მიმართ, ბრალდებულის შეურაცხადობის გამო, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

დაზარალებულთა ასაკი: 18 წლამდე - 1 ქალი; 18-დან 30 წლამდე - 1 ქალი; 30-დან 40 წლამდე - 1 ქალი; 40-დან 50 წლამდე - 1 ქალი; 50-დან 60 წლამდე - 2 ქალი; 60-დან 70 წლამდე - 1 ქალი; 70 წელს ზევით - 1 ქალი.

დანაშაულის ჩადენის ტერიტორიული განფენილობა: თბილისი - 2; კახეთი - 2; შიდა ქართლი - 2; დასავლეთი - 1; ქვემო ქართლი - 1.

რაც შეეხება ბრალდებულსა და დაზარალებულს შორის კავშირს, 5 შემთხვევაში მკვლელობა ჩადენილია ქმრის (ყოფილი ქმრის) მიერ ცოლის (ყოფილი ცოლის) მიმართ, 2 შემთხვევაში შვილის მიერ დედის მიმართ, 1 შემთხვევაში დედის მიერ შვილის მიმართ, 1 შემთხვევაში მამის მიერ რძლის მიმართ (აღსანიშნავია, რომ 1 ფაქტზე პასუხისმგებლობა მიცემულია როგორც შვილი, ისე ქმარი, შესაბამისად დედისა და ცოლის მკვლელობისთვის).

2019 წელს **სხვა მოტივით** ჩადენილია 9 ქალის **მკვლელობა**. ყველა ფაქტს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ტერიტორიული დანაყოფები იძიებდნენ.

აღნიშნულ ფაქტებზე სისხლისსამართლებრივი დევნა კონკრეტული პირების მიმართ არ დაწყებულა, რადგან 8 შემთხვევაში დაუდგენელია დანაშაულის ჩამდენი პირის ვინაობა, ხოლო 1 შემთხვევაში - დანაშაულის ჩამდენი პირის გარდაცვალების გამო. გენდერული ნიშანი არცერთ შემთხვევაში არ გამოკვეთილა.

59 საქართველოს გენერალური პროკურატურის წერილები: №13/8998, 12/თებერვალი/2020 წ.; №13/34799, 29/ივნისი/2020 წ.; №13/55730, 25/სექტემბერი/2020 წ.

დაზარალებულთა ასაკი: 30-დან 40 წლამდე - 2 ქალი; 40-დან 50 წლამდე - 1 ქალი; 50-დან 60 წლამდე - 2 ქალი; 60-დან 70 წლამდე - 2 ქალი; 70 წელს ზევით - 1 ქალი; ხოლო 1 ქალის შესახებ ინფორმაცია არ არის.

დანაშაულის ჩადენის ტერიტორიული განფენილობა: კახეთი - 3; თბილისი - 2; დასავლეთი - 2; ქვემო ქართლი - 1; საქართველოს ფარგლებს გარეთ - 1.

რაც შეეხება ბრალდებულსა და დაზარალებულს შორის კავშირს, დანაშაულის ჩამდენი პირის ვინაობა ყველა შემთხვევაში დაუდგენელია.

2019 წელს ჩადენილია 2 ქალის **თვითმკვლელობამდე მიყვანა**. ორივე ფაქტს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ტერიტორიული დანაყოფები იძიებდნენ.

სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 2 პირის მიმართ სსკ-ის 11<sup>1</sup>-115 მუხლით. აქედან 1 შემთხვევაში, სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო გენდერული ნიშნით დანაშაულის ჩადენის ფაქტზე.

დაზარალებულთა ასაკი: 30-დან 40 წლამდე - 1 ქალი; 40-დან 50 წლამდე - 1 ქალი;

დანაშაულის ჩადენის ტერიტორიული განფენილობა: ქვემო ქართლი - 1; სამეგრელო-ზემო სვანეთი - 1.

რაც შეეხება ბრალდებულსა და დაზარალებულს შორის კავშირს, ორივე შემთხვევაში ქმარია ცოლის თვითმკვლელობამდე მიმყვანი.

2019 წელს **ოჯახური დანაშაულის** ნიშნით 11 პირის მიერ ჩადენილია 12 ქალის **მკვლელობის მცდელობა**. გამოძიებას ყველა ფაქტზე აწარმოებდნენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ტერიტორიული დანაყოფები.

სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 10 პირის მიმართ, სსკ-ის 11<sup>1</sup>-19.109 მუხლით. 1 შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაწყებულა დანაშაულის ჩამდენი პირის გარდაცვალების გამო. 2 შემთხვევაში გამოიკვეთა გენდერული ნიშნით მკვლელობის მცდელობა.

2019 წელს ოჯახური დანაშაულის ნიშნით ჩადენილი ქალის მკვლელობის მცდელობის ფაქტზე, 2019 წელს სასამართლოს განჩინებით სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა 4 პირის მიმართ, ბრალდებულის შეურაცხადობის გამო, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

დაზარალებულთა ასაკი: 18-დან 30 წლამდე - 3 ქალი; 30-დან 40 წლამდე - 3 ქალი; 40-დან 50 წლამდე - 2 ქალი; 50-დან 60 წლამდე - 2 ქალი; 70 წელს ზევით - 2 ქალი.

დანაშაულის ჩადენის ტერიტორიული განფენილობა: თბილისი - 8; შიდა ქართლი - 2; დასავლეთი - 1; ქვემო ქართლი - 1.

რაც შეეხება ბრალდებულსა და დაზარალებულს შორის კავშირს, 7 შემთხვევაში მკვლელობის მცდელობა ჩადენილია ქმრის (ყოფილი ქმრის) მიერ ცოლის (ყოფილი ცოლის) მიმართ, 2 შემთხვევაში შვილის მიერ დედის მიმართ, 1 შემთხვევაში დედის მიერ შვილის მიმართ, 1 შემთხვევაში სიძის მიერ სიდედრის მიმართ, ხოლო 1 შემთხვევაში - ოჯახის სხვა წევრის მიმართ (პირის მიმართ, რომელთან ერთადაც ეწეოდა ერთიან საოჯახო მეურნეობას).



2019 წელს **სხვა მოტივით** 4 პირის მიერ ჩადენილია 4 ქალის **მკვლელობის მცდელობა**. ყველა ფაქტს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ტერიტორიული დანაყოფები იძიებდნენ. აღნიშნულ ფაქტებზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 3 პირის მიმართ. სამივე შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო სსკ-ის 19.109-ე მუხლით. 1 შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაწყებულა დანაშაულის ჩამდენი პირის გარდაცვალების გამო. გენდერული ნიშანი არცერთ შემთხვევაში არ გამოკვეთილა.

2019 წელს სხვა ნიშნით ჩადენილი ქალის მკვლელობის მცდელობის ფაქტზე, სასამართლოს განჩინებით, სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა 1 პირის მიმართ, ბრალდებულის შეურაცხადობის გამო, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

დაზარალებულთა ასაკი: 18 წლამდე - 1 ქალი; 18-დან 30 წლამდე - 1 ქალი; 30-დან 40 წლამდე - 1 ქალი; 50-დან 60 წლამდე - 1 ქალი.

დანაშაულის ჩადენის ტერიტორიული განფენილობა: თბილისი - 2; დასავლეთი - 1; შიდა ქართლი - 1.

რაც შეეხება ბრალდებულსა და დაზარალებულს შორის კავშირს, 3 შემთხვევაში მკვლელობის მცდელობა ჩადენილია ნაცნობის, ხოლო 1 შემთხვევაში - უცნობის მიერ.

2019 წელს ჩადენილია 6 ქალის **თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანა**. ყველა ფაქტს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ტერიტორიული დანაყოფები იძიებდნენ. სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 7 პირის მიმართ სსკ-ის 11<sup>1</sup>-115 მუხლით. აქედან 1 ფაქტზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო გენდერული ნიშნით დანაშაულის ჩადენის ფაქტზე. აღსანიშნავია, რომ ერთი ქალის თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანისთვის სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 2 პირის მიმართ.

დაზარალებულთა ასაკი: 20-დან 30 წლამდე - 3 ქალი; 30-დან 40 წლამდე - 3 ქალი;

დანაშაულის ჩადენის ტერიტორიული განფენილობა: ქვემო ქართლი - 2; თბილისი - 1; სამეგრელო-ზემო სვანეთი - 1; სამცხე-ჯავახეთი - 1; კახეთი - 1.

რაც შეეხება ბრალდებულსა და დაზარალებულს შორის კავშირს, 6 შემთხვევაში, თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანა ჩადენილია ქმრის მიერ ცოლის მიმართ, ხოლო 1 შემთხვევაში - დედამთილის მიერ რძლის მიმართ.

